

სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

გიული ქისიშვილი

სოფელ წითელუბნის სამეტყველო კოდები

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე  
ქართველური ენათმეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: პროფესორი მარიამ კობერიძე

გორი

2021

## ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომი — „სოფელ წითელუბნის სამეტყველო კოდები“ შედგება ანოტაციის, შესავლის, ლიტერატურის მიმოხილვის, სამი თავის, დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხისაგან. საკვლევი თემა აქტუალურია ქართულ სალიტერატურო ენასთან მიმართებისა და დიალექტებში მიმდინარე ენობრივი პროცესების შესაწავლად.

სამაგისტრო ნაშრომის მიზანია ჩვენ მიერ მოძიებული და ჩაწერილი დიალექტური ტექსტების საფუძველზე სოფელ წითელუბნის მეტყველების შესწავლა.

კვლევის ამოცანას წარმოადგენს სოფელ წითელუბნის მეტყველებაში ქართლური და აჭარული დიალექტებისათვის დამახასიათებელი თავისებურებების გამოვლენა დიალექტური ტექსტების ანალიზის საფუძველზე, ამავე დროს ქართლური დიალექტის გავრცელების ამ არეალში დადასტურებული ოსური და თურქულ-აზერბაიჯანული ენებისათვის დამახასიათებელი ლექსიკური ერთეულების შესწავლა.

პირველ თავში შესწავლილია ფონეტიკური თავისებურებები: გრძელი ხმოვნები და მორფემათა ზღვარზე მიმდინარე ფონეტიკური პროცესები. მეორე თავში განხილულია გრამატიკული თავისებურებები: ბრუნვის ნიშნებთან დაკავშირებული ცვლილებები, მავრცობი ხმოვნები და მსაზღვრელ-საზღვრული. მესამე თავში წარმოდგენილია ლექსიკური თავისებურებები: ნასესხები ლექსიკა და ონომასტიკა.

აღწერითი მეთოდით გაანალიზდა სოფელ წითელუბნის მეტყველებისათვის დამახასიათებელი თავისებურებები. შედარებითი მეთოდის გამოყენებით შედარებული იქნა ქართლურის, აჭარულისა და მესხურის ენობრივ მოვლენები. შეპირისპირების მეთოდის გამოყენებით ერთმანეთს შევუპირისპირეთ, ჩვენთვის ხელმისაწვდომი მასალების საფუძველზე, ქართულ, ოსურ და თურქულ-აზერბაიჯანული ენებისათვის დამახასიათებელი სამეტყველო კოდები. კვლევის დროს გამოყენებულ იქნა დიალექტური მასალის სინქრონიულ ანალიზი, ტექსტის ჩაწერის დროს კი — უშუალო დაკვირვების მეთოდი.

ნაშრომი დახმარებას გაუწევს დიალექტური მასალის კვლევით დაინტერესებული პირებს.

## Speech codes of village Tsitelubani

### Annotation

Masters thesis “Speech codes of village Tsitelubani “ consists of annotation, introduction, literature review, chapters and list of used literature . The research topic is relevant to Georgian literary language and studying for current linguistic process in dialects.

The aim of the masters thesis is to study the speech of village Tsitelubani on basis of dialect texts we have found and recorded.

The aim of research is to reveal the peculiarities of Kartli and Adjara dialects in the speech of village Tsitelubani based on analysis of dialect texts. At the same time, the study of lexical items characteristics of Ossetian and Turkish-Azerbaijan languages confirmed in this area of Kartli dialect.

The first chapter examines phonetic features: long sounds and phonetic processes occurring at the edge of morphemes. The second chapter discusses grammatical features: changes related to torsion marks, amplified sounds and delimiter boundary. The third chapter presents lexical features: borrowed vocabulary and onomastics.

The descriptive features of the speech of village Tsitelubani were analysed descriptive method. The linguistic events of Kartli, Adjara and Meskhetian were compared using the comparative method. Using the method contrast, we contrasted each other based on the materials which was available to us, with the speech codes characteristic of Georgian, Ossetian and Turkish-Azerbaijan languages. We used synchronous analysis of dialectical material during the research and direct observation method while writing text .

The thesis will help those who is interested in researching dialectic material.

## შინაარსი

შესავალი.....	5
ლიტერატურის მიმოხილვა .....	9
თავი I. ფონეტიკური თავისებურებები.....	13
1.1. გრძელი ხმოვნები.....	13
1.2. მორფემათა ზღვარზე მიმდინარე ფონეტიკური პროცესები.....	16
თავი II. გრამატიკული თავისებურებები.....	24
2.1. ბრუნვის ნიშნებთან დაკავშირებული ცვლილებები.....	24
2.2. მავრცობი ხმოვნები.....	34
2.3. მსაზღვრელ-საზღვრული.....	39
თავი III. ლექსიკური თავისებურებები.....	46
3.1. ნასესხები ლექსიკა.....	46
3.2. ონომასტიკა.....	51
დასკვნა.....	59
გამოყენებული ლიტერატურა.....	62
დიალექტური მასალა (ტექსტები).....	65

## შესავალი

იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახში ქართულ ენას განსაკუთრებული ადგილი უკავია, მას მრავალი წლის ისტორია აქვს და მსოფლიო ენების გვერდით დგას. ქართული ენის დასაწყისად ქართლური დიალექტი ითვლება, ამასთანავე ადრიდანვე კარგად ჩანს ჩამოყალიბებულ ლიტერატურულ ენაში დიალექტური სახესხვაობები. შემდგომ პერიოდში კი ქართული სალიტერატურო ენის დახვეწა და დამკვიდრება ცოცხალ მეტყველებასთან დაახლოების ნიშნით მიმდინარეობდა. ეს კი იმაზე მეტყველებს თუ რაოდენ მნიშვნელოვანია დიალექტთა შესწავლა ქართული სალიტერატურო ენის განვითარების შემდგომი კვლევა-ძიებისათვის.<sup>1</sup>

ქართველური ენათმეცნიერების ერთ-ერთი აქტუალური და მნიშვნელოვანი საკითხია ქართული ენის დიალექტებში მიმდინარე ენობრივი პროცესების შესწავლა. ქართლურისათვის დამახასიათებელი თავისებურებები თითქმის ყველა კუთხის მეტყველებას ახასიათებს. მათ შორის არის შიდაქართლური (ცენტრალური ქართლური) კილოკავი, რომელიც მოიცავს ქარელის, გორის, კასპისა და მცხეთის მუნიციპალიტეტების მეტყველებას. დიალექტური მეტყველების გავრცელების ეს არეალი არ ემთხვევა შიდა ქართლის ადმინისტრაციულ დაყოფას (ხაშური, ქარელი, გორი, კასპი). ხაშურის მეტყველება დასავლურ ქართლურს მიეკუთვნება, ხოლო მცხეთის მუნიციპალიტეტი არ შედის შიდა ქართლის ადმინისტრაციულ ერთეულში. ქართლურისათვის დამახასიათებელი ძირითადი ენობრივი მოვლენები დადასტურებულია ამ რეგიონში, თუმცა მეტყველების თავისებურებები შეინიშნება ხეობებისა და სოფლების მიხედვით, რაც განპირობებულია ენის შინაგანი პოტენციის

---

<sup>1</sup> ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფური, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია. I, თბ., 1961, გვ. 19.

გამოვლენით, მოსახლეობის მიგრაციით და სხვა კილოების წარმომადგენლებთან ურთიერთობით.<sup>1</sup>

დიალექტთა შესწავლას მრავალმხრივი მნიშვნელობა აქვს.

1. ყოველ ლიტერატურულ ენას ესა თუ ის კილო უძველეს საფუძვლად. დიალექტი სამწერლობო ენის განვითარებასა და გამდიდრების ამოუწურავ წყაროს წარმოადგენს. 2. დიალექტებს გარკვეული წვლილის შეტანა შეუძლიათ ენის თეორიის საკვანძო პრობლემათა შესწავლასა და გადაწყვეტაში. ასეთ პრობლემათა რიგს განეკუთვნება ისეთი ძირითადი საკითხები, როგორცაა: სუბსტრატის არსებობა დიალექტში, გარდამავალ დიალექტთა წარმოქმნა, მეზობელ ენათა გავლენა, სუპლექტივიზმის მოშლის ტენდენცია და უნიფიკაციის გატარება, არქაული სისტემის დაცვა, ნეოლოგიზმების გაჩენა და სხვ. აქედან ირკვევა თუ რაოდენ ძვირფასია ქართულ დიალექტთა მონაცემები ზოგადი ენათმეცნიერების აქტუალურ საკითხთა საკვლევად და რაოდენ საჭიროა მათი შესწავლა ამ თვალსაზრისითაც.<sup>2</sup>

ენასა თუ კილოში უკუფენილია მის მატარებელთა სოციალური და ეკონომიური ვითარება, მათი ცხოვრების განვითარების ეტაპები. ლექსიკასა და ფრაზეოლოგიაში ასახულია სახელწოდებათა და ტერმინთა მეშვეობით ხალხის სულიერი სამყარო, ზნე-ჩვეულებანი, შრომითი პროცესები და თარიღები, ერთი სიტყვით ძველი და ახალი ყოფის ყველა მხარე... ეს გარემოება აძლიერებს ინტერესს დიალექტების კიდევ უფრო ღრმად და საფუძვლიანად შესწავლისადმი.<sup>3</sup>

„დიალექტების შესწავლას გარკვეული ღირებულება ენიჭება აგრეთვე ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებისა და გამდიდრება-განვითარების თვალსაზრისით. ამ მხრივ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია

<sup>1</sup> მ. კობერიძე, დროის აღმნიშვნელი ზმნისართები შიდაქართულში: ფილოლოგიური კვლევები, #1, გორი, 2020, გვ. 54.

<sup>2</sup> ი. გიგინეიშვილი, ვ თოფური, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1961, გვ. 19-20.

<sup>3</sup> იქვე, 22.

ფუძე-დიალექტისა და სალიტერატურო ენასთან ახლომდგომი სხვა დიალექტების როლი“.<sup>1</sup>

დიალექტების შესწავლისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დიალექტური მასალების ჩაწერასა და ენობრივი მოვლენების შესწავლას.

ამ მხრივ, საინტერესოა სოფელ წითელუბნის მეტყველების შესწავლა. წითელუბანი მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში, შიდა ქართლის გორის მუნიციპალიტეტში და შედის შავშვების თემში. წითელუბნის მეტყველება მიეკუთვნება შიდაქართლურ კილოკავს.

მეოცე საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში აქ გადმოსახლდნენ საცხოვრებლად ზემო აჭარიდან, ხულოს რაიონის სოფელ ჩაოდან, მოგვიანებით სამაჩაბლოდან და ქართლის სხვადასხვა კუთხიდან<sup>2</sup>.

ამ სოფელში 120 ეთნიკურად ოსი ოჯახი, 100 ოჯახი აჭარელი ეკომიგრანტი, 17 ოჯახი მესხი და 12 ოჯახი დიდი ლიახვის ხეობიდან დევნილი ოჯახი ცხოვრობს.

წითელუბნის მეტყველებაში შეინიშნება, როგორც ქართლურის, ასევე აჭარულისათვის დამახასიათებელი ენობრივი მოვლენების ურთიერთმიმართების შემთხვევები. ეს შემთხვევები განსაკუთრებით თვალშისაცემია ჩვეულებრივ საუბარში, დიალოგში, როცა მოსაუბრე ქართლელია, თანამოსაუბრე აჭარელი, ან – პირიქით, მოსაუბრის მეტყველებაზე ხდება თანამოსაუბრის გადართვა.<sup>3</sup>

ამავე დროს სოფელ წითელუბნის მეტყველებაში დასტურდება ოსური ენის სამეტყველო კოდებიც.

საკვლევი თემა **აქტუალურია** ქართულ სალიტერატურო ენასთან მიმართებისა და დიალექტებში მიმდინარე ენობრივი პროცესების შესაწავლად.

---

<sup>1</sup> არ. მარტიროსოვი, ქართული დიალექტოლოგიის ისტორიისათვის, თბ., 1972, გვ. 3.

<sup>2</sup> მ. კობერიძე, ქართლურისა და აჭარულის ურთიერთმიმართებისათვის სოფელ წითელუბნის მეტყველებაში: XXXV რესპუბლიკური სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 2015, გვ. 25.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 25-26.

სამაგისტრო ნაშრომის მიზანია ჩვენ მიერ მოძიებული და ჩაწერილი დიალექტური ტექსტების საფუძველზე სოფელ წითელუბნის მეტყველების შესწავლა.

კვლევის ამოცანას წარმოადგენს სოფელ წითელუბნის მეტყველებაში ქართლური და აჭარული დიალექტებისათვის დამახასიათებელი თავისებურებების გამოვლენა დიალექტური ტექსტების ანალიზის საფუძველზე. ამავე დროს ქართლური დიალექტის გავრცელების ამ არეალში დადასტურებული ოსური და თურქულ-აზერბაიჯანული ენებისათვის დამახასიათებელი ლექსიკური ერთეულების შესწავლა.

საკვლევი საკითხის შესასწავლად გამოყენებული იქნა ადწერთი და შედარებითი მეთოდი. ადწერთი მეთოდით გაანალიზდა სოფელ წითელუბნის მეტყველებისათვის დამახასიათებელი თავისებურებები. შედარებითი მეთოდის გამოყენებით შედარებული იქნა ქართლურის, აჭარულისა და მესხურის ენობრივ მოვლენები. შეპირისპირების მეთოდით ერთმანეთს შევუპირისპირეთ, ჩვენთვის ხელმისაწვდომი მასალების საფუძველზე, ქართულ, ოსურ და თურქულ-აზერბაიჯანული ენებისათვის დამახასიათებელი სამეტყველო კოდები. კვლევის დროს გამოყენებულ იქნა დიალექტური მასალის სინქრონიულ ანალიზი, ტექსტის ჩაწერის დროს კი — უშუალო დაკვირვების მეთოდი.

პირველ თავში შესწავლილია ფონეტიკური თავისებურებები: გრძელი ხმოვნები და მორფემათა ზღვარზე მიმდინარე ფონეტიკური პროცესები. მეორე თავში განხილულია გრამატიკული თავისებურებები: ბრუნვის ნიშნებთან დაკავშირებული ცვლილებები, მავრცობი ხმოვნები და მსაზღვრელ-საზღვრული. მესამე თავში წარმოდგენილია ლექსიკური თავისებურებები: ნასესხები ლექსიკა და ონომასტიკა.

ნაშრომი დახმარებას გაუწევს დიალექტური მასალის კვლევით დაინტერესებული პირებს.

## ლიტერატურის მიმოხილვა

სოფელ წითელუბნის მეტყველებაში მიმდინარე სამეტყველო კოდთა გადართვის შემთხვევები პირველად შენიშნული და გაანალიზებული იქნა მ. კობერიძის სამეცნიერო სტატიებში: „ქართურისა და აჭარულის ურთიერთმიმართების საკითხისათვის“,<sup>1</sup> „დროის აღმნიშვნელი ზმნისართები შიდაქართლურში“,<sup>2</sup> „ხმოვანთა გაგრძელების შემთხვევები ცენტრალურ ქართლურში“.<sup>3</sup>

საკვლევ საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია იმ ძირითადი ლიტერატურის მიმოხილვა, რომელიც ეხება ქართლურ, აჭარულ და მესხურ დიალექტებს.

გრ. იმნაიშვილის მონოგრაფია „ქართლური დიალექტი“ წარმოდგენილია ორ ნაწილად. პირველ ნაწილში მოცემულია ქართლურის ყოველმხრივი შესწავლის შედეგი და გაანალიზებულია ამ დიალექტის ფონეტიკურ-გრამატიკული სტრუქტურა და ლექსიკური შემადგენლობა ისტორიულ ასპექტში ქართული ენის სხვა კილოებთან და სამწერლობო ენასთან შეპირისპირებით. ასევე გამოვლენილია სპეციფიკური მოვლენები. ამ დიალექტის კილოკავებად კლასიფიკაციის საფუძველი.<sup>4</sup>

ი. გიგინეიშვილის, ვ. თოფურიას, ი. ქავთარაძის „ქართულ დიალექტოლოგიაში“ შეტანილია ქართლურის, აჭარულისა და მესხური დიალექტების (ქართული ენის სხვა დიალექტებთან ერთად) მოკლე განხილვა, ტექსტები და ლექსიკონი. განხილვაში ნაჩვენებია დიალექტის გავრცელების არეალი და არსებითი ნიშნები, მისი განვითარების მოკლე ისტორიული ექსკურსი, მწერლობაში გამოყენების ცდები, შესწავლის დონე და დასახელებულია სამეცნიერო ლიტერატურა. ტექსტებში შეტანილია

---

<sup>1</sup> მ. კობერიძე, ქართლურისა და აჭარულის ურთიერთმიმართებისათვის სოფელ წითელუბნის მეტყველებაში: XXXV რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 2015, გვ. 25-27.

<sup>2</sup> მ. კობერიძე, დროის აღმნიშვნელი ზმნისართები შიდაქართლურში: ფილოლოგიური კვლევები, #1, გორ., 2020, გვ. 54.

<sup>3</sup> მ. კობერიძე, ხმოვანთა გაგრძელების შემთხვევები ცენტრალურ ქართლურში: XXXIX რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 2019, გვ. 43-45.

<sup>4</sup> გრ. იმნაიშვილი, ქართლური დიალექტი, I, გამოკვლევა, თბ., 1974.

დიალექტის მთავარ თავისებურებათა ნათელსაყოფად ძველი და ახალი ყოფის აღწერა, ხოლო ხალხური სიტყვიერების სიმდიდრის საჩვენებლად სრულიად უცნობი ან ნაკლებად ცნობილი თქმულებები, გადმოცემები, ლეგენდები და ა.შ.<sup>1</sup>

ბ. ჯორბენაძის „ქართულ დიალექტოლოგიაში“ გაანალიზებულია დიალექტებში მიმდინარე პროცესები და მოცემულია ქართული ენის დიალექტების დახასიათება და კილოკავებად დაყოფის საფუძველი.<sup>2</sup>

ჯ. ნოღაიდელის მონოგრაფიაში „აჭარული კილოს თავისებურებანი“ მოცემულია აჭარული დიალექტის გავრცელებულება, მისი შესწავლის მოკლე მიმოხილვა, ფონეტიკურ მოვლენები: ბგერითი შედგენილობა, ასიმილაცია, დისიმილაცია, მეტათეზისი, სუბსტიტუცია, ბგერათდაკარგვა, ბგერათჩამატება და სხვ. ასევე თვალსაჩინოა, მორფოლოგიური და სინტაქსური მოვლენებიც. საინტერესოა, აქ წარმოდგენილი აჭარელთა მეტყველების ნიმუშები, რომელიც ორ თავად აქვს გამოყოფილი. პირველ თავში წარმოდგენილია ტექსტები საუბრიდან, ხოლო მეორე თავში ზღაპრები და თქმულებები აქვს გაერთიანებული.<sup>3</sup>

შ. ნიჭარაძე „ქართული ენის აჭარული დიალექტი“ წიგნში წარმოდგენილია აჭარული დიალექტის ლექსიკის შესწავლა. იგი შედგება ორი ნაწილისგან, პირველ ნაწილში განხილულია აჭარული ლექსიკის ფონეტიკური და მორფოლოგიური თავისებურებანი, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სემანტიკურ ანალიზს. მეორე ნაწილი წარმოადგენს ლექსიკონს, რომელშიც დამოწმებულია სხვადასხვა ავტორთა მიერ ზეპირსიტყვიერებისა და მხატვრული ლიტერატურის ნიმუშები.<sup>4</sup>

შ. ნიჭარაძე თავის ნაშრომში „ზემოაჭარულის თავისებურებანი“ წარმოდგენილია აჭარული დიალექტის, განსაკუთრებით კი, მისი

<sup>1</sup> ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფური, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია. I, ქართული ენის კილოთა განხილვა, ტექსტები, ლექსიკონი, თბ., 1961, გვ. 269-271.

<sup>2</sup> ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, 1, თბ., 1989, გვ. 301-312.

<sup>3</sup> ჯ. ნოღაიდელი, აჭარული კილოს თავისებურებანი, ნარკვევები და ჩანაწერები, II, ბათ., 1960.

<sup>4</sup> შ. ნიჭარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი. ლექსიკა. ბათ., 1971.

კილოკავის ზემოაჭარულის მოკლე მიმოხილვა. ეს ნაშრომიც ორ ნაწილად იყოფა, პირველ ნაწილში მოცემულია ზემოაჭარულის განხილვა მორფოლოგიური და გრამატიკული თავისებურებებით, ხოლო მეორე ნაწილში კი მოცემულია ტექსტები.<sup>1</sup>

მ. კობერიძის მონოგრაფიაში – „ზემოაჭარულის დარგობლივი ლექსიკა“ – ცალკეული სამეურნეო დარგების ეთნოგრაფიული შესწავლის საფუძველზე გამოვლენილია ზემოაჭარულის მდიდარი დარგობლივი ლექსიკა, კერძოდ: ხვნა-თესვის, მკისა და თიბვის, მეზღობა-მეზოსტნეობის მშენებლობისა და საბრძოლო იარაღების ამსახველი ლექსიკა. ასევე განხილულია ზემოაჭარულის ლექსიკის თავისებურებანი: სინონიმთა მრავალფეროვნება, სიტყვის მრავალმნიშვნელობა, სიტყვაწარმოების თავისებურება, საწყისსა და მიმდევრის წარმოქმნასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი, ნასახელარ ზმნათა წარმოება, ძველი ქართული ენის ლექსიკური ფენა, ზმნიზედები, ნასესხები სიტყვები, მათი წარმოების თავისებურება, ზემოაჭარულის სხვა დიალექტთან მიმართების საკითხი ლექსიკური თვალსაზრისით.<sup>2</sup>

სიტყვათა სესხების ზოგადი პირობებისა და ენათა კონტაქტების ანალიზია მოცემული ბ. ფოჩხუას „ქართული ენის ლექსიკოლოგიაში“.<sup>3</sup>

ნ. ოთინაშვილის ნაშრომში – „ლიახვის ხეობის ონომასტიკა“ — განხილულია შიდა ქართლის დიდი და პატარა ლიახვის ხეობის ტოპონიმია, ჰიდრონომია, შტო- გვარები ისტორიული და თანამედროვე ვითარების გათვალისწინებით. ყურადღება გამახვილებულია გეოგრაფიული სახელწოდებების ლოკალიზაციასა და ეტიმოლოგიაზე.<sup>4</sup>

ნ. ოთინაშვილის წიგნში – „ცხინვალის რეგიონის გეოგრაფიული სახელები“ – მოცემულია ისტორიულ ქსნის საერისთაოს, სამაჩაბლოს,

<sup>1</sup> შ. ნიჭარაძე, ზემოაჭარულის თავისებურებანი, ბათ. 1957.

<sup>2</sup> მ. კობერიძე, ზემოაჭარულის დარგობრივი ლექსიკა, თბ., 2011.

<sup>3</sup> ბ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974.

<sup>4</sup> ნ. ოთინაშვილი, ლიახვის ხეობის ონომასტიკა, თბ., 2002.

სავახტანგოს, საფავლენიშვილოს ტოპონიმის ენათმეცნიერული ანალიზი, სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით.<sup>1</sup>

სამაგისტრო ნაშრომში დასმული ძირითადი პრობლემის-ქარლურის, აჭარულისა და მესხური დიალექტების; ქართულ-ოსურ-თურქულ-აზერბაიჯანული სამეტყველო კოდების გადართვის შესასწავლად მოხდა შესაბამისი დიალექტური მასალის ჩაწერა, ანკეტირება და ანალიზი სათანადო სამეცნიერო ლიტერატურის გამოყენებით.

---

<sup>1</sup> ნ. ოთინაშვილი, ცხინვალის რეგიონის გეოგრაფიული სახელები, თბ., 2016.

## თავი I. ფონეტიკური თავისებურებები

### 1.1 გრძელი ხმოვნები

ზემოაჭარულში სალიტერატურო ქართულისაგან განსხვავებით დასტურდება **ჲ (იოტი)** და უმარცვლო **უ**, გრძელი ხმოვნები **ა, ე, ი, უ**. ეს ბგერები არაა უცხო ქართული ენის სხვა დიალექტებისათვისაც.<sup>1</sup>

ბგერითი შედგენილობით აჭარული კილო ქართული სალიტერატურო ენისაგან თითქმის არ განსხვავდება. ის ბგერები, რომლებიც აჭარულს ასხვავებს დღევანდელი ქართულისაგან, ჩვეულებრივ დამახასიათებელი იყო ძველი ქართულისათვის.<sup>2</sup>

როგორც ცნობილია ქართულისათვის ისტორიულად დამახასიათებელია დამავალი დიფთონგები, ასევე ქართულის კილოებში შემონახული **ჲ**, როგორც წესი დიფთონგის მეორე ნაწილს წარმოადგენს: **აჲ, ეჲ, იჲ, უჲ**. აჭარულისათვის დამახასიათებელია როგორც დამავალი, ასევე აღმავალი დიფთონგები; **კაბჲები, კერჲები, ნეფჲობა, მამჲობა, დედჲობა**.<sup>3</sup>

ფონეტიკური მოვლენებით აჭარული დიალექტი, როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია მითითებული, დასავლურ დიალექტთა წრეს მიეკუთვნება, მაგრამ რიგი სპეციფიკური ნიშნები საკმაოდ განსხვავდება როგორც დასავლური, ისე აღმოსავლური დიალექტისაგან.<sup>4</sup>

აჭარულში გრძელი ხმოვნების შესახებ მსჯელობს შ. ძიძიგური. ავტორი გრძელ ი-ს მართებულად თვლის კონტაქტური ასიმილაციის გზით პრევერბის ხმოვნით ნაწილსა და ქცევის ნიშან ი-ს შორის.<sup>5</sup>

შ. ნიჟარაძე აღნიშნავს: „მართალია, აჭარულში პრევერბის ხმოვანთა და ქცევის ნიშანთა ასიმილაცია საკმაოდ გავრცელებულია, არც ერთ დიალექტში არ გვხვდება აჭარულის მსგავსი შემთხვევები (წიმილო,

<sup>1</sup> შ. ნიჟარაძე, ზემოაჭარულის თავისებურებანი, ბათ., 1957, გვ. 5.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 7.

<sup>3</sup> ჯ. ნოღაიძე, აჭარული კილოს თავისებურებანი, ბათ., 1960, გვ. 9.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 10.

<sup>5</sup> შ. ძიძიგური, ხმოვანთა კომპლექსების ფონეტიკური პროცესები ქართულ დიალექტებში: ქართული დიალექტოლოგიური მიუზანი, თბ., 1954, გვ. 119-122.

დიმინახა), მაგრამ ასიმილაცია არასოდეს არაა კონტაქტური, პრევერბსა და ქცევის ნიშანს შორის ყოველთვის პირის ნიშანია“.<sup>1</sup>

ზემოაქარულის მსგავსად, სოფელ წითელუბანის აქარელთა მეტყველებაში დასტურდება გრძელი ი, რომელიც ვითარდება სიტყვის ფუძეში რ-ს გაუჩინარების შედეგად: იმფე ( იმფერი), დეჭილი (დეჭრილი, დაჭრილი), თანაბივ ( თანაბრივ, თანაბრად). ასევე, დასტურდება გრძელი ე, უ და ო.

მაგალითები:

1. დევდოთ ზემოდან კარაქის ნაჭერი და მივითვათ.
2. ჯუმადიამ (მამიდის ქმარი) გემეთხოვა, ვინცხა გემიგა ( გამირიგა).
3. ეთი სხვაფერინა იყოს ნეფე-დედოფლისა .

ქართლურ დიალექტში გრძელი ხმოვნების არსებობის შესახებ განსხვავებული მოსაზრებები არსებობს.

ქართლური კილო ბგერითი შედგენილობით თითქმის ემთხვევა სალიტერტურო ქართულს... გრძელი ხმოვანიც არ ისმის, შესაძლებელია მხოლოდ მის სპორადულ არსებობაზე მსჯელობა... როცა სხვადასხვა შემთხვევებში ვაკვირდებით ქართლურ მეტყველებას, გვესმის გრძელი ა.<sup>2</sup>

ა ხმოვნის გაგრძელებით წარმოთქმას ცენტრალურ ქართლურში, გორის რაიონის სოფელ ატენისა და კასპის რაიონის სოფლების მეტყველებაში, პირველად ყურადღება მიაქცია ალექსანდრე ღლონტმა. მისი დაკვირვებით, გრძელი ა მკაფიოდ ისმის ერთმარცვლიან ზმნებში (განსაკუთრებით მეშველ ზმნებში: ვაარ, ხაარ...), შედარებით უფრო მკვეთრად ისმის მაშინ, როცა ზმნას ერთვის სხვათა სიტყვის ნაწილაკი -ო ან -თქო.<sup>3</sup>

„ქართურისათვის მეტყველების დინჯი ტემპია დამახასიათებელი, რაც შეაპირობებს ხმოვანთა დაგრძელებას გარკვეულ პოზიციებში.“<sup>4</sup>

<sup>1</sup> შ. ნიჟარაძე. ზემოაქარულის თავისებურებანი, ბათ., 1957, გვ. 11.

<sup>2</sup> ალ. ღლონტი, გრძელი -ა - ს საკითხისათვის ქართლურში: ფილოლოგიის ჩანაწერები, თბ., 1980, გვ. 231.

<sup>3</sup> იქვე, 232-234.

<sup>4</sup> ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, 1, თბ., 1989, გვ. 292.

ხმოვნის გაგრძელების ანალოგიური შემთხვევები სხვა ხმოვნებთანაც შენიშნული იქნა ვენერა სომხიშვილის მიერ ცხინვალისა და გორის რაიონების სოფლებში. მან გაარკვია, რომ ერთმარცვლიან სიტყვებში (ზმნებში), როცა წინადადება თხრობითია (ზოგჯერ სხვა სახითაც) დასტურდება ხუთივე ხმოვნის გაგრძელების შემთხვევები (ვაარ, მყავს, წევს, თქვეს, წუხს, დუღს, თოვს).<sup>1</sup>

მ. კობერიძის გამოკვლევით, ცენტრალურ (შიდაქართლურში) დასტურდება ხმოვანთა გაგრძელების შემდეგი შემთხვევები: „1. ერთ ან მეტმარცვლიან სიტყვებში (როგორც ზმნებში, ისე სახელებში) თხრობით წინადადებაში გრძელდება ხმოვანი; 2. ხმოვანი გრძელდება ერთ და ორმარცვლიან სიტყვაში იმ შემთხვევაშიც, როცა ზმნას ერთვის სხვათა სიტყვის ნაწილაკი - ო.“<sup>2</sup>

ხმოვანი გრძელდება წითელუბნის ქართლელთა მეტყველებაშიც (ზოგჯერ ოსურ ლექსიკაშიც შეინიშნება).

**1. გრძელდება ე ხმოვანი:**

გამოვაცხოთ თებაზე და ზემოდან ბლომათ ერბოს წავუსვამთ,

**2. გრძელდება ა ხმოვანი:**

12 საათის შემდეგ დავაყრით მარილს და მერე ჩავაგდებთ სუარში.

ჰალე, ეგ ძნელი წესია.

**3. გრძელდება ო ხმოვანი:**

უნდა გავწუროთ, აი ამისთვისა ეხლა იყენებენ გოლაგს.

**4. გრძელდება უ ხმოვანი:**

ეხლა მა ყაბულ მე გასწავლი ადვილ წესსა.

წითელუბნის აჭარელთა მეტყველებაში ხშირად გამოიყენება გრძელი ა, ე, ი, ო, უ ხმოვნები. ქართლელთა მეტყველებაში გრძელ ხმოვნებს იშვიათად ვხვდებით. ქართლურის გადართვის შედეგი უნდა იყოს ოსურ სიტყვებში გრძელი ხმოვნები.

<sup>1</sup> ვ. სომხიშვილი, ქსნის ხეობის მეტყველება, ცხინვ., 1968, გვ. 15.

<sup>2</sup> მ. კობერიძე, ხმოვანთა გაგრძელების შემთხვევები ცენტრალურ ქართლურში: XXXIX რესპუბლიკური დიალექტური სამეცნიერო სესიის მასალები. თბ., 2019. გვ.44.

## 1.1. მორფემათა ზღვარზე მიმდინარე ფონეტიკური

### პროცესები

ერთმანეთზე მეტ-ნაკლები გავლენის გამო ხშირია მეზობელ ბგერათა ურთიერთ მიმსგავსება ანუ ასიმილაცია. განასხვავებენ ასიმილაციის შემდეგ სახეებს: მანძილის მიხედვით – კონტაქტურსა და დისტანციურს; მიმართულების მიხედვით – რეგრესულსა და პროგრესულს; შედეგის მიხედვით – სრულსა და ნაწილობრივს; ხმის მონაწილეობა არ მონაწილეობის მიხედვით - გაჟღერება - გაყრუების; წარმოების ადგილის მიხედვით; რაგვარობის მიხედვით; რთული ასიმილაცია; სინჰარმონიზმი; უმლაუტი.<sup>1</sup>

წითელუბნის აჭარელთა მეტყველებაში ფონეტიკური პროცესებიდან ყველაზე გავრცელებულია ასიმილაცია. გვხვდება ყველა სახის ასიმილაცია: პროგრესული, რეგრესული და მათი სრული ან ნაწილობრივი სახეობა. დასტურდება როგორც ხმოვანთა ისე თანხმოვანთა ასიმილაცია.

ხმოვანთა სრული ასიმილაციის შემთხვევებს ვხვდებით უმთავრესად ზმნის ფორმებში. სრული დამსგავსება გვაქვს სასხვისო ქცევის უ-სა და პრევერბისეულ ა, ე ან ო ხმოვნებს შორის, ოღონდ სრული ასიმილაციის შედეგად მიღებული ორი ერთნაირი ხმოვანი ერთმანეთს ერწყმის და ისმის დაყოვნებული, გრძელი ხმოვანი.<sup>2</sup>

სოფელ წითელუბნის აჭარელთა მეტყველებაში ვხვდებით როგორც სრულ ასევე ნაწილობრივ დამსგავსებას. ეს ფორმები საუბრისას ორივე იხმარება. მაგ. :

**ა+უ=უ:** აუწია< უუწია<ოუწია. ჯვალაი უწია ემზარ.

**და+უ=უ:** დაუდებდნენ<დუუდებენ. მიუტანა მეფე-დედოფალის მაგიდას წინ დუუდებენ.

**გა+უ=გუ:** გაუგდო<გუუგდო. თებრონია ნახირსინა გუუგდო.

**ჩა+უ=ჩუ:** ჩაუდო<ჩუუდო. სადილი კალათაიშინა ჩუუდო.

**წა+უ=წუ:** წაუვიდა<წუუვიდა. მიხილას ბაღანაი საძდა წუუვიდა.

<sup>1</sup> ტ. ფუტკარაძე, მ. მიქაუტაძე, ქართული სამწიგნობრო ენის ფონეტიკა, თბ., 2014, გვ.130.

<sup>2</sup> ჯ. ნოლაიდელი, აჭარული კილოს თავისებურებანი, 1960, ბათ., გვ. 13.

**შე+უ=შუ:** შეუკრა<შუკრა. მაი ჯვალაი თავი **შუუკარ**.

**ა+ი=ი:** ამიტანა<იმიტანა. ღლიავის (იღლიის) ღიტიმა **იმიტანა** და...

**და+ი=დი:** დამიყვრა<დიმიყვრა. ისეთმან **დიმიყვრა**, იქანა გევში.

**ჩა+ი=ჩი :** ჩამიარა<ჩიმიარა. რანა ვქნა? უკვე **ჩიმიარა**.

**გა+ი=გი:** გამილო<გიმილო. მაი კარი თევსით **გიმილო**.

**წა+ი=წი:** წაილოს < წიილოს. წაილოს. ქარმა **წილოს** თუნა მქოდეს.

**გა+ი=გი:** გამიხარდა<გიმიხარდა. რაფერ **გიმიხარდა** მაი ამბავი.

სრული ასიმილაციის შემთხვევები გვაქვს ასევე ზმნისწინის ხმოვანსა და სასხვისო ქცევის ი პრეფიქსთან;

**გა+ი=გი:** გაგიგონე<გიგიგონე. მეუნა **გიგიგონო** და შენ არა?

**და+ი=დი:** დამიფრთხე<დიმიფრთხე. მაი ყათირი (ვირი) ნუ **დიმიფრთხე**.

**გადა+ი=გი:** გადამიყარა<გიდიმიყარა. მაი როყიომ (მაღალი კაცი) სუმთლა **გიდიმიყარა** მთელი ურუბა ( თბილი ტანსაცმელი).

„ზემოაჭარულში ადგილი აქვს ასევე პრევერბისეულ **ა, ო** და გვარისა თუ ქცევის ე ხმოვანთა ასიმილაციას.“<sup>1</sup>

იგივე შემთხვევა დასტურდება სოფელ წითელუბნის აჭრელთა მეტყვეებაშიც. მაგ.:

**აე=ეე:** წაელო<წეელო. უნა **წეელო**, მარამ შილიმ ( ქვისლი) არ **გუშვა**.

**ოე=ეე:** მოერია<მეერია. იმფერ დიდი ჯვალი **მეერია** და **მეეკიდა** და წეილო ვიბიში( ადგილი სადაც სიმინდს თესავენ).

წითელუბნის მეტყველებაში არის ისეთი შემთხვევა, როდესაც ქცევის ან ვნებითი გვარის ი პრეფიქსი იწვევს ზმნისწინის **ა, ო** ხმოვანთა დამსგავსებას და შემდეგ თვითონ იკარგება. მაგ.:

1. **წევდოდა** და სახში დუჯდებიდა.
2. სადილის მიტანის წესი აჭარაში მუსლიმანობის მერე **შემევედა**.

<sup>1</sup> შ. ნიჭარაძე, ზემოაჭარულის თავისებურებანი. ბათ., 1957, გვ. 15.

სრული ასიმილაციის შემთხვევები:

**მო+უ=მუ:** მოუმღერებდნენ<მუუმღერებდნენ. დედამთილს დუუძახებდნენ და ასე **მუმღერებდნენ**.

**მი+უ=მიუ:** მიუტანა<მიუუტანა. სადილს **მუტან** მაი რაის ვიზამ. ლამაზ-ლამაზ კაბიები **მუტანა**.

**გადა+უ=გუდუ:** გადაუგდო<გუდუუგდო. ძაღლ პურინა **გუდუგდო**.

ასიმილაციის შემდეგ ი იკარგება პირველი პირის ფორმებში.მაგ.:

1. ევლოთ და ევთქვიფოთ 5 კვერცხი, **დევმატოთ** მაწონი.
2. გაცხელებულ ქვაბში ჩევდოთ ერბო ანდა კარაქი და **დევმატოთ** დაჭყლეტილი ან წვრილად დეჭილი ნიორი.
3. გამომცხვარი ხაჭაპური **გემოვლოთ** ღუმელიდან.

წითელუბნის აჭარელთა მეტყველებაში ასიმილაცია ხდება როგორც ხმოვნებში, ისე თანხმოვნებში.

ჯ. ნოლაიდელის აზრით: „ბგერათდამსგავსება ხდება არა მარტო ხმოვნებთან მიმართებაში, არამედ თანხმოვნებშიც, ეს პროცესი დასტურდება როგორც ძირში, ისე ფუძეშიც – ძირისა და ფორმანტების ბგერათა შორის.“<sup>1</sup>

ბგერათდამსგავსების შემთხვევებიდან აღსანიშნავია :

1. მჟღერი ბგერის გავლენა ყრუზე და მისი გამჟღერება. მაგ.:

**სდ<ზდ:** მისდიოდნენ<მიზდიოდნენ. გოგოს ნათესავები **მიზდიოდნენ** ახალდაოჯახებულის სახში.

2. ეს პროცესი შეიძლება იყოს პირიქითაც. მაგ.: **ვაჟკაცი** (<ვაშკაცი).

**ვაშკაცი** დუუდგა დედაის გვერდზე, ამფერი არა მინახავს რაი.

პროგრესული ასიმილაციის მაგალითად შეიძლება მივიჩნიოთ:

**ცლ<ცხ ; რაცლა<რაცხა, ვინცლა<ვინცხა.** ბევრი გვევკეთე **ვინცხაი** მუა და იმას მივართმევ.

<sup>1</sup>ჯ. ნოლაიდელი, აჭარული კილოს თავისებურებანი, ბათ., 1960, გვ. 11.

**თბ<თფ: თბილად<თფილად.** კინჩხი (კისერი) **თფილად** შუხვიე, თორემ გუუშემდება.

-ა ბოლოკიდურიან სახელებში სახელობითის -ი-ს დართვის შედეგად მიღებული აი კომპლექსთან არ გვაქვს მოსალოდნელი რეგრესული ასიმილაცია, როგორც ხდება პრევერბის ხმოვნისა და ფუძისეული ხმოვნის შემთხვევაში, ამავდროულად თუ ეს -ა კნინობითი სახელის სუფიქსს წარმოადგენს, მაშინ გვაქვს ნაწილობრივი ასიმილაცია.<sup>1</sup>

მაგ.: ტაია → ტაიე.

ეს მოვლენა დამახაიათებელია ქართული ენის სხვა დიალექტებისათვისაც.

ტაოურსა და იმერხეულში ხმოვანთა ფონეტიკური ცვლილებები უპირატესად შეინიშნება მორფემათა ზღვარზე, ასევე ერთი მორფემის ზღვარზე.<sup>2</sup>

ქართულში ვხვდებით ასიმილაციის ყველა სახეს, რაც კი არის დადასტურებული ქართული ენის კილოებში, მაგრამ იგი აქ ისე ფართოდ არ არის გავრცელებული, როგორც, მაგალითად, გურულში, ფერეიდნულში, ინგილოურსა და სხვა ზოგიერთ კილოში. ქართულშიც ისევე როგორც საერთოდ აღმოსავლურ დიალექტებში, უპირატესად ფეხმოკიდებულია რეგრესული ასიმილაცია, იგი სისტემატურად მოქმედებს ხმოვანთა შორისაც და თანხმოვანთა შორისაც. დამსგავსება არის სრულიცა და ნაწილობრივიც, კონტაქტურიცა და დისტანციურიც.<sup>3</sup>

ხმოვანთა რეგრესული ასიმილაციის დროს ვნებითი გვარის ე ხმოვანი ხშირად იმსგავსებს ზმნისწინისეულ ა და ო ხმოვნებს:

აე<ეე: გაეხარდა<გეეხარდა. გადეხვია<გედეეხვია, წაეჩხუბა<წეეეჩხუბა. ისე გეეხარდა მათი დანახვა, ყველას სათითაოდ გედეეხვია .

აე<ეე: დაეწერა<დეეწერა ტელეფონის ნუმერი საცხა დეეწერა.

<sup>1</sup> შ. ნიჟარაძე, ზემოაჭარულის თავისებურებანი, ბათ., 1957, გვ. 15.

<sup>2</sup> ხ. ჯანგავიძე, ქართული ენის ტაოური და იმერხეული დიალექტების ფონემათა სინტაგმატური ანალიზი. სადისერტაციო ნაშრომი, წმინდა ანდრია პირველწოდებულის ქართული უნივერსიტეტი. თბ., 2015.

<sup>3</sup> გრ. იმნაიშვილი, ქართული დიალექტი, I, გამოკვლევა, თბ., 1974, გვ. 173.

ოე<sup>1</sup>: მოეწონა<მეეწონა. წამოეყვანათ<წამეეყვანათ. სარძლო ისე მეეწონა, მაშინვე რომ წამეეყვანათ უარს არ იტყოდა. ყური ქუფიეთი (საყურე) წამეეგო ბუჯადაის (ხეს ).

ზმნისწინისეულ ხმოვნებში სრულ რეგრესულ ასიმილაციას ახლავს რეგრესული დისიმილაცია (აე<sup>2</sup>ე<sup>2</sup>იე). წითელუბნისა და შავშვების მეტყველებაში ზმნისწინის ასეთი ცვლილება შიდაქართლისათვის არ არის დამახასიათებელი მოვლენა. ეს მოვლენა სამეტყველო კოდთა გადართვის შემთხვევით უნდა აიხსნეს.<sup>1</sup>

ასიმილაცია ხდება რთულ ზმნისწინებშიც: გემეეჟცა, ამეელო, გედეეხადა, გამეეღვიძა....

ეს პროცესი ქართლის ყველა რეგიონში ერთნაირად არაა გავრცელებული, იგი განსაკუთრებით უფრო ფეხმოკიდებულია შიდა და ქვემო ქართლის მეტყველებაში... ამ რეგიონებში ასიმილაციას ხელს ვერ უშლის პირის ნიშნის პრეფიქსები, ვნებითის თუ სხვა ფუნქციის მაწარმოებელი ე პრეფიქსი სრულად იმსგავსებს საასიმილაციო ხმოვანს, მაშინაც კი როცა ეს ხმოვანი მისგან მოშორებითაა ობიექტური ან სუბიექტური პირის ნიშნებით. <sup>2</sup>

წითელუბნის ქართლელთა მეტყველებაში დასტურდება ასიმილაციის მაგალითები: დემეეწყო, დემეეხატა, გემეეჟცეცი, წემეევიყვანე, დევეცი, დევეჟიდები ....

წითელუბნის მეტყველებაში ვნებითი გვარის თუ სხვა ფუნქციის მქონე ე-ს ასევე შეიძლება დაემსგავსოს ზმნისწინისეული ი-ც. მაგ.: მეზობელს უნდა მეეცა კამის თესლი, ალბათ დაავიწყდა.

ქართლურში უ ხმოვანი იშვიათად იმსგავსებს ი ხმოვანს. ამ ფორმას ძირითადად ლიახვის ხეობიდან იძულებით გადაადგილებული პირები იყენებენ, სხვა შემთხვევებში თითქმის უცვლელად შეინიშნება იუ კომპლექსი. მაგ.:

<sup>1</sup> მ. კობერიძე, ზმნისწინთა ზოგი ფონეტიკური ცვლილებისათვის ქართლურში: სამეცნიერო ჟურნალი „ენა და კულტურა“, # 14, ქუთ., 2015, გვ. 26.

<sup>2</sup> გრ. იმნაიშვილი, ქართლური დიალექტი, I, გამოკვლევა, თბ., 1974, გვ. 173.

1. სახში არაფერი მუუტანია და აბა რა გითხრა.
2. ბურთი მუუგდო და ისე შეაშინა.

„ -ებ და -ობ სუფიქსების ე და ო ხმოვნებიც იმსგავსებენ სიტყვის ფუძის ბოლო ა ხმოვანს, როცა ეს უკანასკნელი არაა მოკვეცილი და აღმოჩნდება ამ სუფიქსებთან უშუალო მეზობლობაში.“<sup>1</sup>

ეს პროცესი წითელუბნის მეტყველებაში უცვლელად დასტურდება.

მაგალითად:

1. შენი ხმა ვერ გავიგე ლობიოს ვანივეები,
2. კრუხმა ისეთი ქოჩორები გამოჩიკა , ლამაზები ძანა.
3. ამ თაკარაში ბაღში მუშობას ნუ იტყვი.

თავიანთ ნაცვალსახელი ი-სა და ა-სთან დამსგავსების შედეგად ზოგჯერ ღებულობს თავიანთ სახეს.<sup>2</sup>

ეს ფაქტი დასტურდება წითელუბნის მეტყველებაშიც. აქ თავიანთ ფორმა უფრო გავრცელებულია, ვიდრე თავიანთი. მაგ., ყველაფერი თავიანთი წამოიღეს, თეფშებიც კი თავიანთი ქონდათ.

„ხმოვანთა პროგრესული ასიმილაცია ქართლურში ისევე იშვიათია როგორც საერთოდ აღმოსავლურ კილოებში, შეიძლება დავასახელოთ როგორც კონტაქტური, ისე დისტანციური, როგორც სრული, ისე ნაწილობრივი ასიმილაცია, მაგრამ არც ერთი მათგანი არაა გავრცელებული, ის სიტყვები რომლებიც დავასახელებთ უმეტეს შემთხვევაში ასიმილაციის გარეშე გვხვდება თორო (თორემ), დროობა (დროება).“<sup>3</sup>

წითელუბნის მეტყველებაში სუბიექტური პირის ნიშანი ვ ფშვინიერდება და მასთან ახლოს მდგომ ფ-ს ემსგავსება: მოფკალ, დაფკარ, ფთესამთ და სხვ.

მეორე პირის თანხმოვანი გ კი ყრუ თანხმოვნების სიახლოვეში

---

<sup>1</sup> გრ. იმნაიშვილი, ქართლური დიალექტი, I, გამოკვლევა, თბ., 1974, გვ. 174- 175.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 177.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 177-178.

ყრუვდება. მაგ.: გ<ქ. ე მაგამ ფული თუ მოქცა? უიმე რამხელა პარკი მოქქონდა, ვერც კი ერეოდი.

„ასევე ექვემდებარება ასიმილაციის პროცესს პირველი ობიექტური პირის მრავლობითი რიცხვის გვ პრეფიქსის გ ელემენტიც, ვ თანხმოვანი დამსგავსებას ხელს არ უშლის.“<sup>1</sup>

ასეთი შემთხვევები გვხვდება წითელუბნის მეტყველებაშიც. მაგ.:

1. სამუშაოთ რო მივდივართ ხომე დაქვსხამენ დიდ კუზაოზე.
2. ხან ისე ყეფამს ხომე აქვხდის თავსა.

ეს ფორმები ხშირად უასიმილაციოდ დასტურდება.

წითელუბნის მეტყველებაში მესამე ობიექტური პირის ნიშანი ს შიშინა ბგერებთან ასიმილირდება შ-დ, ხოლო მჟღერებთან – ზ-დ. მაგ.:

1. თავისი საქციელით დედ-მამას თავი მოშჭრა.
2. ყურში ჩაზმახა და გააგიჟა.
3. ზძინამდა და ვერ გაიგო.

წითელუბნის მეტყველებაში შეინიშნება ზ<ფ ფორმა. მაგ.:

1. ლეღვი ჩვენთან არა გვაროფს.
2. აქეთ სოფლეფში თითქმის ყველამ პარნიკები გააკეთა.
3. წყალი სულ ყველას სახლეფთან მივიყვანეთ.

ზ<პ: მაგ გუნდას ცოტა კიდე სიპტყე მიეცი, უფრო კაი გამოვა,

დ<თ: ერთმანეთის გვერთში უნდა ვიყოთ, სულ ორი მეზობელიდა ვართ.

თ<დ: ისეთ კარგ ბეთშია ძაღლი არ დაყეფამს მაგის ბეთსა.

ტ<ფ: დავრგე კართოფილიცა .

სოფელ წითელუბნის ორივე დიალექტის წარმომადგენლების მეტყველებისათვის დამახასიათებელი ისეთი ფონეტიკური პროცესი, როდესაც დისტანციური ასიმილაციის შედეგად ს ზოგჯერ იქცევა შ-დ. მაგ.: ძან ცუდი დრო მოდის მალე დაიწყება შიმშილიცა; ცუდათ გახდა და გაშაშინჯათ წაიყვანეს.

<sup>1</sup> გრ. იმნაიშვილი, ქართლური დიალექტი, I, გამოკვლევა, თბ., 1974, გვ. 179.

სიტყვის თავში ან ბოლოს ყრუვდება მჟღერი ბგერა:

**დ<თ :** ავათ იყო, მძიმე სენი შეუჩთა და ორ თვეში გაათავა სიცოცხლე.

**ბ<ფ:** თფილისში ნეტა როდის მოვხთები, სუხარი უნდა წამოვილო, ძაან გემრიელი; გარედან ჟაკეტი თფილათ მოიცვი სუსხიაქვს ჯერა.

### დისიმილაცია

დისიმილაცია არის ასიმილაციის საწინააღმდეგო ფონეტიკური მოვლენა. ბგერათა დისიმილაცია ანუ განსხვავება გულისხმობს სიტყვაში ორი მსგავსი ბგერის ერთმანეთისაგან განსხვავებას. დისიმილაცია ემართება როგორც ხმოვნებს, ისევე თანხმოვნებს. დისიმილაციას, ისევე როგორც ასიმილაციას, განასხვავებენ მანძილისა და მიმართულების მიხედვით. მანძილის მიხედვით დისიმილაცია შეიძლება იყოს კონტაქტური და დისტანციური. მიმართულების მიხედვით კი - პროგრესული და რეგრესული.<sup>1</sup>

„დისიმილაციის ორივე სახე გვაქვს აჭარულ დიალექტში; რეგრესულიც და პროგრესულიც. დისიმილაცია უმთავრესად ხდება ნარნარა და ნაზალ ბგერებში.“<sup>2</sup>

პროგრესული დისიმილაციის შემთხვევები გვხვდება წითელუბნის მეტყველებაშიც: ხუთჯერ<ხუთჯელ, მრავალჯერ<მრავალჯელ, არი<ალი, არცერთხერ < არცერთხელ, უკანონო<უკალონო. გელინი (სტუმარი) ხუთჯელ მოსულა, სახში არცერთხელ დუუხვდით.

„აღსანიშნავია ძლიერი დისიმილაციის შემთხვევები, უმთავრესად იკარგება წინამავალი რ მომდევნო იდენტური ბგერის ზეგავლენით, ე.ი. ადგილი აქვს ბგერის რეგრესულ დისიმილაციურ დაკარგვას.“<sup>3</sup>

მაგ.: ცხვიპილი, სიბილი, სიცხვილი....

დისიმილაციას განიცდის როგორც თანხმოვანი, ისე ხმოვანი:

<sup>1</sup> ტ. ფუტყარაძე, მ. მიქაუტაძე, ქართული სამწიგნობრო ენის ფონეტიკა, თბ., 2014, გვ. 136.

<sup>2</sup> ჯ. ნოღაიძელი, აჭარული კილოს თავისებურებანი, ბათ., 1960, გვ. 17.

<sup>3</sup> შ. ნიჭარაძე, ზემოაჭარულის თავისებურებანი, ბათ., 1957, გვ. 18.

„დისიმილაციის შემთხვევები ქართულში უმთავრესად რ ბგერაზე მოდის. ერთ სიტყვაში ორი რ ვერ ძლებს და ერთი მათგანი (უფრო ხშირად მეორე) ლ-დ გადაიქცევა ხოლმე.“<sup>1</sup>

„ქართლურისათვის არ არის დამახასიათებელი იდენტურ ხმოვანთა კონტაქტური დისიმილაცია. ფუძისეული და ფორმანტისეული იდენტური ხმოვნები, პირველადი იქნებიან ისინი თუ მეორეული ქართლურში დისიმილაციას არ განიცდიან. ამ მხრივ ქართლური კახურთან ერთად უპირისპირდება ისეთ დიალექტებს, როგორცაა გურული, აჭარული, მესხურ-ჯავახური და სხვ.“<sup>2</sup>

თანხმოვანთა განმსგავსების მხრივ ქართლურში თავისებურება თითქოს არ შეინიშნება... იგი ახასიათებს მხოლოდ სონორ თანხმოვნებს, მათ შორის დისიმილაცია ყველაზე მეტად მოსდის ნარნარა რ-ს. ცნობილია, რომ ერთ სიტყვაში ორი რ ვერ ძლებს და ერთ-ერთი, უფრო ხშირად მეორე რ იქცევა ლ-დ თუ მათ შორის შუამავალი რ არის ლ.<sup>3</sup>

მაგ: ბევრჯელ, წრეულს ხუთჯელ და ა.შ.

ლ და რ დისიმილაციურ ნიადაგზე ჩანს დაკარგული რიგ სიტყვებში. მთელ ქართლურში მჟღერ დ-ს ხშირად ენაცვლება თავისივე რიგის ყრუფშვინვიერი თ. მაგ.: იმთენი; რამთენჯელ; იმთენი...და ა.შ.

ამრიგად, წითელუბნის მეტყველებაში მორფემათა ზღვარზე მიმდინარე ფონეტიკური პროცესებიდან უფრო გავრცელებულია ასიმილაციის შემთხვევები. აჭარელთა მეტყველებაში ასიმილაციის პროცესს დისიმილაციაც მოსდევს. აჭარულისაგან განსხვავებით ქართლურში უფრო ხშირია უასიმილაციო ფორმები. იშვიათად შეინიშნება მორფემათა ზღვარზე მიმდინარე დისიმილაციის პროცესი ხმოვნებში.

<sup>1</sup> ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, ტ. I, თბ., 1973, გვ. 23.

<sup>2</sup> გრ. იმნაიშვილი, ქართლური დიალექტი, I, გამოკვლევა, თბ., 1974, გვ.186.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 187.

## თავი II. გრამატიკული თავისებურებები

### 2.1. ბრუნვის ნიშნებთან დაკავშირებული ცვლილებები

ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში კარგად არის შესწავლილი სახელთა ბრუნების საკითხები ძველი ქართულისა, ახალი ქართულისა და დიალექტებისა და დადგენილია, რომ საერთო ქართველურ ენაში ბრუნება, როგორც მორფოლოგიური კატეგორია, შვიდბრუნვიან პარადიგმას ქმნის. ეს პარადიგმა კი საერთოა როგორც თანამედროვე სალიტერატურო ქართულისათვის ისე დიალექტებისათვის.<sup>1</sup>

ბრუნვის ნიშნის ხმარების მიხედვით ქართლური არ არის ერთფეროვანი, ჩრდილოურ ქართლურში ხმოვანფუძიან სახელებთან სახელობითის ნიშანი ი ისევე დაკარგულია როგორც სალიტერატურო ქართულში. იგი საძებარია სამხრულ ქართლურში, მაგრამ ეს ი შემონახულია ცენტრალურ ქართლურსა და დასავლურ ქართლურში. აქ ხმოვანფუძიანი სახელები ჩვეულებრივ გვევლინებიან სახელობით ბრუნვაში ი ნიშნით.<sup>2</sup>

სოფელ წითელუბნის მეტყველებაში ხმოვანფუძიან სახელებს სახელობიში დაერთვით -ი ალომორფი. მაგ.:

1. ცოტაი დაობება დავაცადოთ.
2. მერე ჩავასხათ ყველის დედაი.
3. ზემოდან კიდე ერბოი წავუსვათ.
4. მეორე დილას სვიაი სულ თავზე წამოვა.
5. მზეი მამეტნავად გადავიდა.
6. საქმეი მისდღემში სულა გვაქ.
7. თონეი უნდა გავახურო და ნაზუქსაც მივაცოლებ ბარემა.
8. ეჰ, ეს ხეი რა უცებ გახმა.

<sup>1</sup> გ. გოგოლაშვილი, ნ. შარაშენიძე, გ. ცოცანიძე, ნ. ჭუმბურიძე, თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია. II, დიალექტები. გ. გოგოლაშვილის რედაქციით, თბ., 2016. გვ. 57.

<sup>2</sup> გრ. იმნაიშვილი, ქართლური დიალექტი, I, გამოკვლევა, თბ., 1974, გვ. 192.

9. მშობელთა კრებაი რო ტარდებოდა, სულ წინ მე ვიჯექი ხომე.

სახელობით ბრუნვაში გვაქვს ასევე -O ალომორფი მხოლოდ მაშინ, როცა სახელს დახურული პოზიცია აქვს, წინადადების ბოლოს კი -ი ვარიანტის გამოვლენა თითქმის უგამონაკლისოა....ქართლური დიალექტის გავრცელების ისეთ რეგიონებში, სადაც მას მჭიდრო შეხება აქვს სხვა დიალექტებთან, სახელობითი ბრუნვის წარმოების ეს წესი დარღვეულია.<sup>1</sup>

ქართლური დიალექტის გავრცელების ასეთ ზონას წარმოადგენს სოფელი წითელუბნის მეტყველება, სადაც ერთმანეთის გვერდით არის ორი დიალექტი: ქართლური და აჭარული. ორივე დიალექტის წარმომადგენლების მეტყველებაში დასტურდება -O ალომორფი.

აღნიშნულ საკითხს განიხილავს გრ. იმნაიშვილი. „თანხმოვანზე დაბოლოებული სახელი აქა-იქ შეიძლება მოგვევლინოს სახელობით ბრუნვაში ბრუნვის ნიშნის გარეშე“.<sup>2</sup>

ასეთივე ვითარება არის წითელუბნის მეტყველებაში. მაგ.:

1. **საჭმელ** შეჭამეს და ჩდილში დაისვენეს.
2. **ხორბალ** დავფქით და სახში რო წამოვედით.
3. **სახლ** დავალაგე და ეხლა დავისვენებ.

სოფელ წითელუბნის მეტყველებაში ი -ს შეიძლება შევხვდეთ ხმოვანზე დაბოლოებულ ზმნისართთან, ნაწილაკთან და სხვ.მაგ.:

1. **მარტოკინაი** აბა რა უნდა ქნას.
2. **ცოტაი** დამეხმაროთ რაი იქნება.
3. **ანდეი**, სად დამალულხართ.

წითელუბნის მეტყველებაში ზოგიერთ თანხმოვანფუძიან სახელს ა ერთვის მოსალოდნელი ი-ს ნაცვლად. მაგ.: **ტიტველა** (< **ტიტველი**) ფეხებით რათ დადიხარ?

მოთხრობით ბრუნვაში ხმოვანფუძიანი სახელები, ზოგჯერ მ-სთან ერთად ხმოვანსაც ინარჩუნებენ თანხმოვანფუძიანების მსგავსად. მაგ. :

<sup>1</sup> გ. გოგოლაშვილი .ნ. შარაშენიძე , გ. ცოცანიძე , ნ. ჭუმბურიძე, თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია. II. დიალექტები. გ. გოგოლაშვილის რედაქციით, თბ., 2016. გვ. 61.

<sup>2</sup> გრ. იმნაიშვილი, ქართლური დიალექტი, I, თბ., 1974, გვ. 193.

1. ძან გამაწვალა ამ **პროხამა**.
2. მთელი საქათმე დაცალა **მელიამა**.
3. სად წაიღო **სპირიდონამა** ჩემი ცული?

წაიჩუბნენ ვასტრჯიმ და **ეშმაკიმა**.

**მ** თანხმოვანზე დაბოლოებულ სიტყვებთან მოთხრობითში ორი მ ხშირ შემთხვევაში არ გვაქვს. ზოგჯერ მხოლოდ ერთი **მ** გვესმის. მაგ. :

1. **დედაჩემა** თონეში პური გამოაცხო.
2. თვლაც კი **ბიძაჩემა** მასწავლა.
3. **ექიმა** დაწერა და ვერ გავიგე.

წითელუბნის მეტყველებაში გვხვდება ისეთი შემთხვევები, როდესაც თანხმოვანფუძიანი სახელი იხმარება როგორც ხმოვანფუძიანი. მაგ. :

1. **გურამამ** დაუძახა და გავარდა.
2. ისეთი კინო გადიოდა **ლომიმ** სილ დაანგრია ყველაფერი .
3. წაიჩუბნენ ვასტრჯიმ და **ეშმაკიმა**.

მიცემითში თანხმოვანფუძიან სახელებს ზოგჯერ ეკარგება ბრუნვის ნიშანი -ს. მაგ. :

1. წამოდი **პროხებ** საჭმელი დაუყაროთო.
2. ამ **საჭმელ** უფრო სახელდახელოთი რო გვჭირდება, მაშინ ვაკეთებთ.
3. ვუყოფთ **მარილ** და ეგაა.. მზათაა.
4. გატარებულ **ხორც** ტაფაზე მოვთუშოთ.
5. ცოტა გაციების მერე **დროჟ** გავხსნით.
6. როცა დაკლავდნენ, **სისხლ** რო გამოადენდნენ წაიღებდნენ.
7. **ღმერთ** მადლობას უთხრავდნენ.
8. ცოტა **ძმარ** და პატარა **შაბ**, დავასხავთ **შრატს**.

ზოგჯერ ხმოვანფუძიან სახელებთან იკარგება მიცემითი ბრუნვის ნიშანი ან ი-დ იქცევა. მაგ. :

1. მოწველიელ **რძეი** რო ჩავწურავთ .
2. ბანკაში კიდევ **ლობიო** ჩავუყრით.
3. **ერბოი** და ცოტა წყალ შევურევთ ერთმანეთში.

მიცემითი ბრუნვის ნიშანს ხშირად დაერთვის ემფატიკური ა ხმოვანი და ეს ხელს უწყობს ბრუნვის ნიშნის შენარჩუნებას.<sup>1</sup>

წითელუბნის მეტყველებაში ნათესაობითი ბრუნვის ნიშნისეული ს ელემენტი ხშირად იკვეცება მსაზღვრელ თანხმოვანფუძიან და ფუძეკვეცად სახელებთან. მაგ. :

1. **ფანჯრი** წინ რო წამოსკუპდი.
2. **ცომი** გუნდა რო ამოვიღებთ.
3. **სუფრი** თამადა შენ უნდა იყო.

ბრუნვისნიშნისეული ი ელემენტს ზოგ შემთხვევაში ფუძეუკვეცელ სახელებთან რჩება და ბრუნვის ნიშანი სრული სახითაა წარმოდგენილი. მაგ. :

1. **უთოის** ემლის გაფხეკა თუ შეიძლება ?
2. **დუფუის** სახლის უკან.

ზოგ სიტყვას ნათესაობითი ბრუნვის ნიშანთან ერთად დაერთვის ებ სუფიქსიც და მრავლობითობას გამოხატავს. მაგ., ეგ ღორები **მეზობლისები** არიან.

ზოგჯერ კვეცადი სახელი ნათესაობითში არ იკვეცება. მაგ., მეორე დილას **სვიას** სულ მოვაცლით.

ასეთივე პროცესი გვაქვს კუმშვად სახელებთანაც, ზოგ შემთხვევაში ისინი არ იკუმშებიან. მაგ.:

1. ეს დღე არის ახალი **წელის** მერე.
2. **წყალის** დიდ გუბეში ჩახტა.

ვითარებითი ბრუნვისნიშნისეული დ-ს ნაცვლად დასტურდება ყრუ თ. მაგ. :

1. გავშალოთ პალატკაზე **სქლათ**.
2. **თბილათ** თუ იქნება უფრო მალე გამოიტანს ღორობსა.
3. **ღრმათ** ჩაფლავდნენ, რომა არ მიეგნო ძაღლებსა.

თ გვაქვს ემფატიკური ხმოვნის შემდეგაც. მაგ.:

---

<sup>1</sup> გრ. იმნაიშვილი, ქართლური დიალექტი, I, გამოკვლევა, თბ., 1974. გვ. 195.

1. შევახვიოთ და შევინახოთ **თბილათა**.
2. წავიდა ქალაქში **საჩივლელათა**.
3. საჭმელი **მზათაა**. გემრიელათ მიირთვიოთ.
4. **კარგათ** რომ მეიხარშება.

მოქმედებითი ბრუნვის ნიშანსაც ისევე, როგორც მიცემითისა და ნათესაობითი ბრუნვის ნიშნებს აქვთ ემფატიკური ა, როგორც თანხმობანფუძიან, ისე ხმობანფუძიან კვეცად სახელებთან. მაგ.:

1. გაიღვიდა **დილითა** და რა დაინახა.
2. წასულია **ქალაქათა**, შეიძლება არც მოვიდეს.
3. **შუადღითა** წყალი დააღვინე ხომე საქონელსა.

ზოგჯერ გვხვდება ი ემფატიკური ხმოვანიც. მაგ.:

1. თორე **წინათი** რძითა და შრატით ვზილავდით ცომსა,
2. **რილათი** რაღა უნდა გააკეთოს კაცმა.
3. **საღამოთი** ხო გამოუშვებ ჩემთანა ნიკასა?
4. **დროთი** გააკეთე და მორჩი საქმესა.

-ით შეიძლება გვქონდეს - **თან** თანდებულთან შენაცვლებული.

მაგ: **ფეხითით** უნდა ედგას და ლოცულობდეს.

გვხვდებით ასევე -ით ნიშნიანი მოქმედებითის ერთ-ერთ სახეობას, რომელიც იწარმოება -**ივ** მაწარმოებლით. ამ შემთხვევაში -**ივ** იხმარება -ად ვითარებითი ბრუნვის ნიშნის ნაცვლად. მაგ.:

1. **უსვენებლივ** დავბარეთ მთელი ბაღი.
2. **ერთბაშივ** რო ამოვა მზე, ეგ მიყვარს ხომე.

მოქმედებითის ნიშანი -ით ზოგჯერ გვხვდება ზმნისართთან და მას ენაცვლება -**ზე** თანდებული. მაგ.:

1. **შემოდგომაზე** წავალ და ბევრ თხილს ჩამოვიტან.
2. **დროზე** მოდი, ძან არ დააგვიანო.

წითელუბნის მეტყველებაში საკუთარ სახელებს წოდებით ბრუნვაში ბოლოკიდური ხმოვანი ეკარგებათ. მაგ.:

1. **ზეინ** მოდი ერთი ხელი შემაშველე.

## 2. ზოი სულ მორჩი კრეფასა?

ქართლურის მსგავსად, წითელუბნის მეტყველებაშიც მრავლობითი რიცხვი იწარმოება -**ებ** სუფიქსით, მაგრამ ხშირად შევხვდებით **თ** და **ნ** სუფიქსებსაც. მაგ.:

1. შეეგებნენ მე**ზობლები** დიდი სიხარულითა.
2. ხუთნი ძმანი ყოფილან ერთმანეთზე კარგები.
3. სხვათა მისცეს ეს ადგილი, უფრო მშრომელთა.

მრავლობითის საწარმოებელი -**ნ** ზოგჯერ შეერწყმის -**იან** სუფიქსის **ნ-ს** და ისმის ერთი **ნ**. მაგ.:

1. აარბინე კოწიანთა და იქიდან გადასმახე ვალეანთა.
2. წინათი აქა ცხოვრობდენ არსენანი.
3. ეს დოქი ყიყელანთია და შემთხვევით არ გაგიტყდეს.

-**ნ** მრავლობითის მაწარმოებელს ზოგჯერ დაერთვის მოთხრობითი, მიცემითი და ნათესაობითი ბრუნვის ნიშნები (-მა, -ს, -ის). მაგ.:

1. ორთავე ძმანის სახელი ხუ-ზე იწყება.
2. ოთხივენი მოიფიქრეთ და დაწერეთ.
3. ორთავენს მოგაყოლებთ გაკვეთილსა .

ზოგ შემთხვევაში -**თ** სუფიქსსაც ერთვის ბრუნვის ნიშნები. მაგ., მაგის ფეხთით იდგა და ლოცულობდა.

ზოგჯერ მიცემითი ბრუნვა ბრუნვის ნიშნის გარეშე გვხვდება. მაგ.: ნებიაანი მიდიან პატარძლიაანთა.

გვაქვს ასევე გამონაკლისი შემთხვევებიც, როდესაც სახელს არ ეწარმოება მრავლობითი რიცხვი და მასზე -**ებ** სუფიქსის დართვით იხმარება მრავლობითი. მაგ., შტეფცელში რო შევაერთე ცეცხლები გაყარა.

ზოგ შემთხვევაში კი მრავლობითის საწარმოებლად -**ებ**-ის ნაცვლად იხმარება -**ობა** სუფიქსი. მაგ.:

1. ოჯახობა დასასვენებლად წავიდა.
2. სოფლი თავზე შეიკრიბა სოფლის ბიჭობა.
3. მთელი ახალგაზრდობა აქ არის.

სოფელ წითელუბნის აჭარელთა მეტყველებაში **ა** (იოტი) გვხვდება: სახელობით ბრუნვაში **ა**, **ე** და **ო-ზე** დაბოლოებულ ფუძეებთან: **ჯვალა**, **ბალანა**, **მოტაცება**, **დაჯდომა**, **ნიშნობა**, **კერა**, **კალათა**, **ცოტა**, **ფენა**. **გოგო**, **სამაგიერო**, **ბოლო**. **სო**, **სავსე**...

საილუსტრაციო მაგალითები:

1. ერთი **ჯვალა** (ტომარა) ქვილინა მემვიდა.
2. **ბალანა** რაფერ არი?
3. ადრე ქორწილის სამი წესი ყოფილა გევრცელებული: **მოტაცება**, **დაჯდომა** და **ნიშნობა**.
4. **გოგო** და ბიჭი ერთმანეთს არ იცნობდნენ.
5. გალამაზებული ხუთ დიდი **კალათა** მიეტანათ დედოფლისთვის.
6. **ცოტა** რომ ეფუძება.
7. 80 **შაქარლამა** დევს კალათაში.

**ხმოვანფუძიან სახელებთან ნათესაობით ბრუნვაში**. მაგ.:

1. ბიჭს **ნიშან-ბოხჩა** ს მიტანა არ შეეძლო. როცა **გოგოს** მევიყვანთ წესიანდა მუუტანონ სადილი.
2. ვინც დედოფალს ნახამდა, **ფარაჟს** (ფული) აჩუქებდა.
3. სადილი **ყველა**ს მიაქ.
4. ცალკე ნათესავები **გოგოს** აჩუქებდნენ **ფარაჟს** ან **ოქროს**.

**ა** ასევე ვითარდება ფუძის შიგნითაც, როცა მის წინ ან შემდეგ არის **ა**, **ე** და **ო** ხმოვანი: როის, ქონიარე (შეძლებული), წოლიარე, გადმეიქნია, **დეიწვა**, **გეიქვა**...

**ა** დასტურდება როგორც ხმოვნების წინ, ასევე მათ შემდეგ. მაგ.:

ადრე ქორწილის სამი წესი ყოფილა გევრცელებული: **მოტაცება**, **დაჯდომა** და **ნიშნობა**; **ლამაზ-ლამაზ კაბებს** ვკერავ.

**სახელობითი ბრუნვის ნიშანი ხშირად იკარგება თანხმოვანფუძიან სახელებთან**. მაგ.:

1. დედოფალს **ორ** დადე (მეჯვარე) ჰყავდა.
2. ქორწილის დროს, **ხუთ ბიჭ** შემეიტანს მხარზე გედეკიდებულს.
3. მაი **სადილ** ტკბილეულისგან შედგება.
4. გოგოს **ნათესავებ** მიზდიოდნენ ახალდაოჯახებულის სახში.
5. ამ ხელოსნებმა **სახლ** რუმ უშენეს.

მოთხრობით ბრუნვაში შემორჩენილია ბრუნვის ნიშნის ძველი ფორმა

-მან. მაგ.:

1. ფეილამბერმან ერთ დღეს ცოლს ტკბილეული გეკეთებინა.
2. დედამთილმან რძალ უნა უთხრან.

**მიცემითი ბრუნვის ნიშანი ს უმეტეს შემთხვევებში დაკარგულია:**

1. **სადილ** გუუმზადებდა და წევდოდა.
2. ქორწილის შემდეგ გეიცნობდენ ერთმანეთ.
3. **დედამთილ** დუუძახებდენ და ასე მუმღერებდენ.

**ნათესაობით ბრუნვის ნიშნის მხოლოდ ს ელემენტი იკვეცება:**

1. მოგიყვანეთ **სახლი** რძალი,
2. დედოფალი **მადლობი** გადახდით თემენას(მისალმება) გუკეთებდა.
3. მაგრამ ამ **ფეჩი** ახდაში მამათილ ბევრი ფარანა(ფული უნდა) მიეცა.
4. **ქორწილი** შემდეგ გეიცნობდენ ერთმანეთ.

თუ სახელი ხმოვანფუძიანია, მაშინ მიცემითსა და ნათესაობითში

აქვს სრული სუფიქსი. მაგ.:

1. სახში დუუჯდებიდა **ქალაძს**.
2. სადილი **ყველაძს** მიაქ.

ვითარებითი ბრუნვის ნიშან დ-ს აჭარელთა მეტყველებაში უმეტეს

შემთხვევებში ცვლის თ. მაგ.:

1. **სამკუთხედათ** დეკეცვენ.
2. **სამაგიეროთ** გოგოი მოსთხოვეს ცოლათ.
3. აი მაშინ არის ცომი ცომი **მზათ**.

4. ევთქვიფოთ კარგათ შაქართან ერთად.

**წოდებითის მაწარმოებლად შეინიშნება ო, როგორც ხმოვანფუძიან, ისე თანხმოვანფუძიან საკუთარ სახელებთან. მაგ.:**

1. მურმანო საით მიხვალ?
2. რომანო მოი ნახე რაფერი ფეშუმში( მრგვალი მაგიდა) გევეკეთ.
3. ზაირაო ნატაი იცი სადაა?

**მრავლობითი რიცხვის საწარმოებლად გამოყენებულია -ებ ბოლოსართი.**

მაგ.:

1. ეს დადეები დედოფალს ცავდენ.
2. ამ ხელოსნებმა სახლ რუმ უშენეს.

მოცემულ მასალაზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ წითელუბანში მცხოვრებ ქართლელთა და აჭარელთა მეტყველებაში ბრუნვის ნიშნის ალომორფები წარმოდგენილია იმავე ხმოვნებით, რაც გვხვდება სალიტერატურო ენაში. ზოგჯერ შეინიშნება თავისებურებაც. სახელობით ბრუნვაში ხმოვანფუძიან სახელებთან გვაქვს -ი და ნულოვანი ალომორფი, მოთხრობითში -მ და -მა, მ-ზე ფუძეგათავებულ სახელებთან გვაქვს ერთი მ. მიცემითში ზოგჯერ იკარგება ბრუნვის ნიშნის -ს ელემენტი. ხშირად -დ ვითარებითი ბრუნვის ნიშანი წარმოდგენილია ყრუ -თ-თი. მოქმედებითი ბრუნვის ნიშანი გავრცობილია -ა და -ი ემფატიკური ხმოვნით. წოდებითის ნიშნად კი გვაქვს ვ და ო, ცვლილებას მხოლოდ საკუთარი სახელები განიცდიან. მრავლობითი რიცხვი იწარმოება -ებ, -ნ და -თ სუფიქსებით.

წითელუბანში მცხოვრებ აჭარელთა მეტყველებაში სახელობით ბრუნვაში თანხმოვანფუძიან სახელებთან იკარგება ბრუნვის ნიშანი. ხმოვანფუძიანებთან კი გვხვდება **ღ** (იოტი). მოთხრობითში შემონახულია - მან ბრუნვის ნიშანი. მიცემითისა და ნათესაობითი ბრუნვის ნიშნები თანხმოვანფუძიან სახელებთან უმეტესად დაკარგულია. ვითარებითი ბრუნვის ნიშნად გვაქვს -თ, როგორც ქართლურში. ხმოვანფუძიან და

თანხმოვანფუძიან სახელებთან (მათ შორის საკუთარ სახელებთან) წოდებითში ბრუნვის ნიშანად გვაქვს -ო.

## 2.2. მავრცობი ხმოვნები

„სალიტერატურო ქართულში თანხმოვანზე დაბოლოებული ბრუნვის ნიშნების შემდეგ, ასევე მრავლობითი რიცხვის -თ ნიშნისა და ზოგი ნაცვალსახელის, ზმნისწინისა და ნაწილაკის შემდეგ გარკვეულ პოზიციებში ჩნდება ხმოვანი ა, რომელსაც მავრცობს, ემფატიკურ ხმოვანს ან მარცვალთლიაობის ა-ს უწოდებენ. იგი წინამავალი ფორმანტისაგან განუყოფელი ნაწილია და ფონეტიკურ საფუძველზე ჩნდება“.<sup>1</sup>

ახალ ქართულში ბრუნვის ნიშანი მიცემითში, ნათესაობითში, მოქმედებითსა და ვითარებითში შესაძლებელია გავრცობილ იქნეს ა ხმოვნის დართვით.... ცალკე აღებულ სიტყვასთან ემფატიკური ხმოვანი შეიძლება ვიხმაროთ, შეიძლება არა. <sup>2</sup>

ქართულში მავრცობი -ა ხმოვანი, მსგავსად ქართული სალიტერატურო ენისა და ქართული ენის სხვა დიალექტებისა, გამოიყენება სახელებთან და მეტყველების სხვა ნაწილებთან.<sup>3</sup>

წითელუბნის მეტყველებაში მავრცობი -ა ხმოვანი გვხვდება მიცემით, ნათესაობით, მოქმედებით და ვითარებით ბრუნვებთან. მაგ.:

1. თბილათ თუ იქნება უფრო მალე გამოიტანს **ღოროებსა**.
2. ბოლოს კი დავამატებთ **კარაქსა** ან **ზეთსა**.
3. **დღეობასა** აუცილებლად უნდა გვექონდეს.
4. მოვაყრით ცოტა **მარილსა** და ავსრისავთ.
5. გახეხილ ჭყინტ **ყველსა** დავამატებთ რძის **თავებსა**.
6. ადრე რძითა და შრატით ვზილავდით **ცომსა**.
7. დავამატებთ წვრილათ დაჭრილ მწვანე **ხახვსა**, **ქინძსა** და **კამასა**.

<sup>1</sup> გ. გოგოლაშვილი, ნ. შარაშენიძე, გ. ცოცანიძე, ნ. ჭუმბურიძე, თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, II, დიალექტები. გ. გოგოლაშვილის რედაქციით, თბ.. 2016. გვ. 93.

<sup>2</sup> ჟ. ფეიქრიშვილი, ქართული ენის მორფოლოგია, ქუთ., 2010, გვ. 22.

<sup>3</sup> მ. კობერიძე, მავრცობი ხმოვნები ქართულში: წელიწდეული, XI, ქუთ., 2019, გვ. 80.

8. ამ სისხლისთვის არ უნდა მიეგნო ძალღებსა.
9. ერბოი და ცოტა წყალს შევურევთ ერთმანეთში და მოუკიდებთ ხომე ფქვილსა.
10. ერთი კვერცხისა გულსა ავურემთ შაქარში.
11. ყველის დედას ვაკეთებთ დვრიტითა.
12. ჩავზილოთ ცხიმიანი ხელებითა და დავაფაროთ ცომი პარკი.
13. იმდენი ხანს უნდა ვურიოთ სანამ არ იქცევა ერბოდა.

ჟ. ფეიქრიშვილი აყალიბებს ა ხმოვნის დართვის მთავარ წესებს:

1. ც ნაწილაკის დართვისას.
2. ვით თანდებულიან მიცემითთან.
3. ნანათესაობითარი მიცემითის დროს.
4. ნათესაობითი ბრუნვის ფორმასთან მართული მსაზღვრელ-საზღვრულის პოსტპოზიციური წყობის დროს.
5. მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი ან ვითარებითი ბრუნვის გამოყენებისას შედგენილი შემასმენლიოს სახელად ნაწილად მაშინ, როცა არის მეშველი ზმნა წარდგენილია შეკვეცილად ა-ს სახით.
6. თანიანი მრავლობითის მყარ გამოთქმებში.
7. და კავშირით შეერთებულ ორი სახელის პირველ ნაწილთან მიცემითში, ნათესაობითში, მოქმედებითსა და ვითარებითში.<sup>1</sup>  
ეს შემთხვევები უკლებლივ გვხვდება წითელუბნის

მეტყველებაში.მაგ.:

1. ხან ორივეს ვუშვრები ხომე კარაქსაც და ზეთსაც.
2. სულ რო იმათხოვრო ერთ მარცვალსაცა არ გადმოაგდებენ.
3. პრინცესასავით არ გამოიყურება?
4. ძაღლსავით ნუ ყეფამ ოღონდაცა.
5. რომელიც გინდა აიღე ოღონდ თენგიზასას ნუ გააფუჭებ.
6. შავი პურისას არ მომიტეხამ?
7. კვერცხი სახლისა ჯობია.

2. ჟ. ფეიქრიშვილი, ქართული ენის მორფოლოგია, ქუთ., 2010, გვ. 23.

8. ბარი მინდა სპირიდონისა.
9. ეს ბოძი ლობესაა მიყუდებული.
10. საბჭოთა ხელისუფლების დროსა.
11. წარიკაანთა მივდივარ და ხო არაფელი გინდა.
12. ზემოთა უბნში ხანძარი მომხდარა.
13. ბოლოთაანთა იმხელა ხბო მოუგო ძროხამა.
14. პურსა და ყველს ჭამდა ისე ჯამდა მოგაშიებდა კაცსა.
15. სახლისა და ბაღის შუაში გზა გავაკეთოთ.
16. კართოფილსა და ახალ ყველსა ურევ ერთმანეთში. ჰოდა მერე ვუმატებ სმეტანასა. ფაფუკსა ხდის.

-ა მავრცობი შეიძლება შეგვხვდეს:

1. კენ თანდებულთან:
  - ა) ბაღისაკენ გავწიოთ უკვე.
  - ბ) ბინებისაკენ თუ მოხვდები ნონა მომიკითხე.
2. გან თანდებულთან:
  - ა) კარაქისაგან ვაკეთებთ ერბოსა და არა ვყიდულობთ.
  - ბ) ჭყინტი ყველისაგან უფრო კაი გამოდის.
3. თვის (თვინ) თანდებულთან:
  - ა) დედასათვინ ნუ დაგენენება ნურაფერი.
  - ბ) კატისათვის არ დაგავიწდეს საჭმლი წამოღება.
4. მოთხრობით ბრუნვაში:
  - ა) იცი როგორ მეჩხუბნენ დედამა და მამამა.
  - ბ) ერთათ გააკეთეს ნათიამა და მარიმა.
  - გ) ნანულიმა თქვა ვედარ ჩამოვალო.
5. და კავშირით შეერთებულ ორივე სახელთან მოთხრობითსა და მიცემით ბრუნვებში:
  - ა) ხერხსა და ცულსა ერთათ ხმარობდა.
  - ბ) საჭმელსა და სუფრასა ეგე ტოვებდენ დილამდისა.

სამეცნიერო ლიტერატურაში მრავალჯერ იქცა მსჯელობის საგნად ა ხმოვნის ფუნქციები. ვარაუდობენ რომ ძველ ქართულში მავრცობი ხმოვანი სახელს მატებდა განსაზღვრულობას, რითაც უტოლდებოდა ევროპული ენების არტიკლს... ახალ ქართულში კი წინადადებაში მსაზღვრელ-საზღვრულის წყვილის შემოსაზღვრაა. ასევე მიუთითებენ რომ მავრცობი ა-ს ბუნება მორფოლოგიური კი არა, ფონეტიკურია.<sup>1</sup>

„-ა მავრცობის გარდა ქართულში გვაქვს -ი, ხოლო ქართული ენის სხვა დიალექტებში -ე, -უ მავრცობები. ამათგან ძველ ქართულში მხოლოდ -ა მავრცობი იყო, დანარჩენი ახალ ქართულში გაჩნდა ფონეტიკურ საფუძველზე.“<sup>2</sup>

ქართულში -ა და -ი მავრცობი ხმოვნები თანხმოვანფუძიანი და ხმოვანფუძიანი სახელების ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვის ფორმებთან ერთმანეთის პარალელურად იხმარებიან. ამავე ბრუნვებში აქტიურად გამოიყენება ი მავრცობი ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ საკუთარ სახელებთან (ჩიტკოსი, ქრისტოთი).<sup>3</sup>

წითელუბნის მეტყველებაში -ი გვხვდება როგორც ხმოვანფუძიან უკვეცელ სახელებთან ნათესაობითსა და მოქმედებითში, ისე თანხმოვანფუძიან სახელებთან. მაგ.:

1. ეგ კონა, მწვანე ხახვისი, მომაწოდე.
2. დავაფაროთ ჯერ ცომისი პარკი.
3. ესე სულ სხვა გემოსი გამოდის.
4. სულ სხვა ხარისხისი არის ეხლა ეგა.
5. ჩვენ სული საქონლითი გიდგას.
6. იმ მეშოკეთი აიღე და გადააგდე.

მავრცობ ხმოვნად გვხვდება როგორც -ი , ისე -ა . მაგ.:

<sup>1</sup> ჟ. ფეიქრიშვილი, ქართული ენის მორფოლოგია, ქუთ., 2010, გვ. 24; ე. დადიანი, ზმნური მავრცობი ტაოურში: ქართველური მემკვიდრეობა, XXI, ქუთ., 2017, გვ. 90.

<sup>2</sup> გ. გოგოლაშვილი . ნ. შარაშენიძე , გ. ცოცანიძე , ნ. ჭუმბურიძე , თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია. II. დიალექტები. გ. გოგოლაშვილის რედაქციით, თბილისი. 2016, გვ. 94.

<sup>3</sup> მ. კობერიძე, მავრცობი ხმოვნები ქართულში: წელიწდეული, XI, ქუთ., 2019, გვ. 93.

1. დროს კითხულობდნენ ბიჯის მამა-პაპის, შესაძლებლობასა, პატიოსნებასა.
2. დედოფალი მორთულ-მოკაზმული ცხენითა მეყავდათ.
3. მაყარი დილამდისა სმა-ჭამით ირთობდა თავსა.
4. დაჯდომა კი მაშინ ხდებოდა როცა ქალსა უყვარდა ბიჭი.
5. საქორწინო სუფრებს მეივლიან და მეფე-დედოფალის მაგიდასა წინ დუუდებენ.

წითელუბნის აჭარელთა მეტყველებაში ხშირად გვხვდება -ა მავრცობი, რომელიც აჭარული დიალექტისაგან განსხვავებით ქართლურის გადართვის შედეგი უნდა იყოს. მაგ.:

1. ამ კალათებიდანა ეთი სხვაფერი უნა იყოს ნეფე-დედოფლისა,
2. ყათმერი ფქილითა, თაფლითა და ნიგვზით კეთდება.
3. ამ სადილის მიტანაზედა ასე იტყვიან.
4. ერთ დღეს ცოლს ტკბილეული გეკეთებინა თავის გოგოისთვისა.

„მავრცობი ხმოვანფუძიან სახელებთან მოთხრობით ბრუნვაში გვხვდება მხოლოდ აღმოსავლეთ დიალექტებში“.<sup>1</sup>

წითელუბანში მცხოვრებ აჭარელთა მეტყველებაში ეს შემთხვევაც ჩვეულებრივი მოვლენაა. უნდა ვივარაუდოთ, რომ აჭარულის სამეტყველო კოდის გადართვა ხდება ქართლურზე. მაგ.:

1. რომანიმა დუძახა თავის შვილსა.
2. ზაირამა მეიტანა ფული?
3. რაფერ გედეიწია მაი კიბემა.
4. დრომა მოიტანა ასეთი სიმძვირე.

წითელუბნის აჭარელთა მეტყველებაში ა-ს ნაცვლად გამოყენებულია -ი მავრცობი. მაგ.:

1. ადრიან ბაქლავისი მაგიერ ყათმერი მიჰქონდათ. მიხდა.
2. უთხრეს ვირის სოისი (ჯიშის) არისო.

<sup>1</sup> გ. გოგოლაშვილი, ნ. შარაშენიძე, გ. ცოცანიძე, ნ. ჭუმბურიძე, თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, II, დიალექტები. გ. გოგოლაშვილის რედაქციით, თბილისი. 2016, გვ. 96.

3. ცოტაი ხნით დევტიოთ გრილ ადგილასი.
4. წევსვათ თავებზე ამ ნავებს კვერცხისი გული.
5. დანითი ხაჭაპურის გულში გევუკეთოთ ორმო.
6. დევმატებთ მწვანელებსა და შევზავებთ მარილითი.

-ა და -ი მავრცობიანი დროის ზმნისართებისათვის დამახასიათებელია აქცენტირება. ეს ხმოვნები თ-ზე დაბოლოებულ დროის ზმნისართებში ხშირად თავისუფლად ენაცვლებიან და ერთნაირ ოდენობას წარადგენენ (წინათა-წინათი, დილითა-დილითი), ზოგ შემთხვევაში მათი გამოყენება ანალოგიითა და უნიფიკაციის ტენდენციით უნდა აიხსნას.<sup>1</sup>

წარმოდგენილი მასალის მიხედვით, წითელუბნის მეტყველებაში გამოიყენება ორი მავრცობი ხმოვანო -ა და -ი . აქვე აღსანიშნია ისიც, რომ ქართლურ მეტყველებაზე ხდება აჭარულის გადართვა და ეს კარგად ჩანს აჭარელთა მეტყველებაში -ა მავრცობის გამოყენებით.

### 2.3. მსაზღვრელ-საზღვრული

წინადადების ერთ-ერთი არამთავარი წევრია განსაზღვრება, რომელიც ახლავს არსებით სახელს ან მასთან გათანაბრებული სიტყვით გადმოცემულ წევრს, იგი ახასიათებს ანუ განსაზღვრავს მას რაიმე ნიშნის მიხედვით. ამის მიხედვით განსაზღვრება შეიძლება გადმოცემული იყოს არსებითი სახელით, ზედსართავი სახელით, რიცხვითი სახელით, ნაცვალსახელით, მიმღობით, საწყისით.<sup>2</sup>

ლ. კვაჭაძე აღნიშნავს: „განსაზღვრება ორგვარია: ატრიბუტული და სუბსტანტიური. ატრიბუტულია განსაზღვრება, რომელიც გადმოცემულია ზედსართავი სახელით (ატრიბუტით) ან კიდევ სინტაქსურად მასთან გათანაბრებული სხვა მეტყველების ნაწილით“.<sup>3</sup>

„სუბსტანტიური განსაზღვრება გადმოიცემა ნათესაობით ბრუნვაში მდგარი არსებითი სახელით ან ამავე მნიშვნელობით გამოყენებული სხვა

<sup>1</sup> მ. კობერიძე, დროის აღმნიშვნელი ზმნისართები შიდაქართლურში: ფილოლოგიური კვლევები, #1, გორ., 2020, გვ. 66, 69.

<sup>2</sup> ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1988, გვ.158, 159.

<sup>3</sup> იქვე. გვ. 159.

მეტყველების ნაწილით“ .<sup>1</sup>

სოფელ წითელუბნის მეტყველებაში ყველაზე ხშირად მსაზღვრელად გამოყენებულია ზედსართავი სახელი ან მიმღეობა.

მაგალითები:

1. ნელ-ნელა დავაყაროთ **დაჭრილი ხახვი, დანაყული ნიორი.**
2. ზემოდან გადავაფაროთ **თხელი ნაჭერი.**
3. **დიდი ხანი** უნდა ვხარშოთ.
4. ავლოთ 4 ცალი **სერი პური** .

ატრიბუტულ მსაზღვრელად რაოდენობითი და რიგობითი რიცხვითი სახელებია გამოყენებული.

მაგალითები:

1. სულ ბოლოს **ერთი კვერცხი** დავამატოთ.
2. გავაჩეროთ **სამი-ოთხი საათი** და მერე გადავწუროთ,
3. ახალი წელის მერე **მეორე ან მესამე კვირასა** ვაკეთებთ ვასტრჯისა.
4. როცა წვენი მოიკლებს, მერე **ერთი ჯამითა** ამივილოთ.

წითელუბნის მეტყველებაში დასტურდება ისეთი ატრიბუტული მსაზღვრელი, რომელიც გადმოცემულია ნაცვალსახელის მეშვეობით. უმეტესად გამოიყენება კუთვნილებითი და ჩვენებითი ნაცვალსახელებით გადმოცემული ატრიბუტული მსაზღვრელი. მაგ.:

1. **შენ ბაღში** ძროხა შევიდა.
2. მთელ **თქვენ მოსავალს** გამოვს.
3. ეგ **ჩემი ძაღლია** რო ყეფამს.
4. **შენ შენი დრო** იცი რაა, რო გვაგვიანდება სულ არა ნაღვლობ.
5. **ის ქალი** იცანი? მგონი ნარიკაანთ სტუმარია.

ასევე შეინიშნება ჩვენებითი ნაცვალსახელის დასუსტება და მხოლოდ ხმოვნით გადმოცემა. მაგ.:

1. **ე თოხი** ვინ გააკეთა როგორი კაი სახმარია.
2. **ი მასწავლებელი** კარქა ასწავლის?

---

<sup>1</sup> ქ. ფეიქრიშვილი, ქართული ენის სინტაქსი, ქუთ., 1998, გვ. 143.

3. ე თოჯინა მოგიტანე შენნაირია ზუსტათა.
4. ე საჭმელი კოვზით არ იჭმება, პური უნდა ამოავლო და ეგრე შეჭამო.

საზღვრულ წევრს ერთდროულად შეიძლება ახლდეს რამდენიმე (ორი ან ორზე მეტი) ერთგვარი ან არაერთგვარი განსაზღვრება.<sup>1</sup>

წითელუბნის მეტყველებაში ხშირია ისეთი შემთხვევა, როცა ერთ საზღვრულს რამდენიმე მსაზღვრელი ახლავს. მაგ.:

1. ოცი ან ოცდახუთი ლიტრა გვექნება.
2. დავამატოთ წვრილად დაჭრილი ან გატარებული..
3. დავაყრიტ გახეხილ, ჭყინტ ყველსა.

სოფელ წითელუბნის მეტყველებაში სუბსტანტიური მსაზღვრელი გადმოიცემა ნათესაობით ბრუნვაში მდგარი არსებითი სახელით ან ამავე მნიშვნელობით გამოყენებული სხვა მეტყველების ნაწილით. მაგ.:

1. კართოფილს დავამატებთ რძის თავებსა ფაფუკსა ხდის.
2. დვრიტათი ყველის დედას ვაკეთებთ.
3. ვჭრით წითელი და თეთრი ჭარხლის ფოთლებს წვრილათა.
4. ნერგის ტოტებისაგან დაწნულზე დააფენდნენ თივაისა.
5. ხაჭაპურს ეხლა ჩვეულებრივი პურის ცომით ვაკეთებ ხომე.

სოფელ წითელუბნის მეტყველებაში შევხვდებით ასევე მსაზღვრელის ბრუნვის ნიშნის შესუსტებულ ვარიანტსაც. მაგ.:

1. ცომი გუნდას რო ამოვიღებთ უნდა დავაცადოთ 15 წუთი მაინც.
2. რძეს ერთი არაყი ჭიქა ყოფნის, მოვურევთ და დავაცდით შედედებასა.

წითელუბნის მეტყველებაში სუბსტანტიურმა მსაზღვრელმა შესაძლებელია სხვადასხვა მნიშვნელობა გამოხატოს, შეიძლება შეგვხვდეს: კუთვნილების, მასალის, დანიშნულების აღმნიშვნელად, რომელიც ეკუთვნის საზღვრულით აღნიშნულ საგანს. მაგ.:

1. ამირანას გაკვეთილი მომწონს ძაანა.

<sup>1</sup>ლ. კვაჭაძე, თნამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1988, გვ. 169.

2. მევლუდას დედაა მლოცავი და იმასთან მიგიყვან.
3. ქლიავის ხეები ჩავრგე. ვასტრჯი ანუ სახლის ანგელოზი.

სოფელ წითელუბნის მეტყველებაში მსაზღვრელ - საზღვრულის საინტერესო მაგალითები დასტურდება. მაგ.:

1. ერთი კვერცხი დავამატოთ.
2. დიდმა ვასტრჯიმ მოიგო ომი.
3. მიუსხდებიან გაშლილ სუფრასა და ილოცებენ.
4. ვის გაუგონია შენი საქმის თავის დანებება.
5. კარგი ლაპარაკით ნუ არჩევ ხალხსა, კარგი საქმით უნდა შეაფასო.
6. სუ ბლანტ წყლად იქცევა ხომე.
7. ჩემო ფუჩინო რამხელა გახდარხარ.

როგორც მოცემული მაგალითებიდან ჩანს, მსაზღვრელი - საზღვრული ერთმანეთს ქართული გრამატიკული წესის შესაბამისად ეთანხმება, მაგრამ არის გამონაკლისი შემთხვევებიც, როცა მსაზღვრელ - საზღვრულის ბრუნვა არ ემთხვევა ერთმანეთს. მაგ., ე მაგ მაღალი სახლს ხო ხედავ? დააფენდნენ თივაისა და დიდი ქვაბზე დადგამდნენ.

აჭარულში ყურადღებას იქცევს სინტაქსური დამოკიდებულების ისეთი შემთხვევა, როცა მსაზღვრელი როგორც პრეპოზიციული, ისე პოსტპოზიციური წყობის დროს საზღვრულთან მართულ-შეთანხმებულია.<sup>1</sup>

მაგ.: მაი თაბალი (თეფში) მაყვალაისია?. აქიფასი ბადიშია ეს. აგი სართი ისმეილასია?

ტ. ფუტკარაძე გამოყოფს მსაზღვრელ-საზღვრულის შემდეგ სახეებს: „1. მსაზღვრელადაა ბოლოთანხმოვნისანი სახელი; 2. მსაზღვრელადაა ბოლოხმოვნისანი სახელი; 3. მსაზღვრელადაა ნანათესაობითარი არსებითი სახელი; 4. მსაზღვრელადაა ნანათესაობითარი ნაცვალსახელი; 5.

<sup>1</sup> შ. ნიჭარაძე. ზემოაჭარულის თავისებურებანი. ბათ., 1957. გვ. 55.

მსაზღვრელადაა ჩვენებითი ნაცვალსახელი; 6. მსაზღვრელადაა ზმნისართი.”<sup>1</sup>

აჭარულში ძირითადია მსაზღვრელ-საზღვრულის შეკვეცილი და გარდამავალი სახეობა .<sup>2</sup>

წითელუბნის აჭარელთა მეტყველებაში, ისევე როგორც აჭარულში, გვხვდება მსაზღვრელ-საზღვრულის შეკვეცილი და გარდამავალი სახეები. მაგ.:

1. ბოლო ფენას გედვაფართ ცომის **დიდ ფენაი**.
2. ბოლოები ემოვდოთ **პირველ ფენაი**ს ქვეშით.

აჭარულში, როცა გვაქვს ხმოვანფუძიანი სახელი მსაზღვრელად , მას შეიძლება დაერთოს **ი**.

1. **ქოჩორაი** ქათამი დევკარგე.
2. **როლოტაი** ფანდური ვინცხამ წეილო გეიხსენე აბა.
3. **სუფთა ყარაჯაი** ( **უშნო**) ბიჭი ხარ ვისნა მეეწონო.

გვხვდება სუბსტანტიური მსაზღვრელიც:

1. **მურომს** მანქანით წაველ .
2. **დედაის** კალთას ვფიცავ.

ასევე აღსანიშნავია მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნების თავისებურება. მათ შორის თითქმის არასდროს არაა შეთანხმება ბრუნვაში. მაგ.:

მოთხრობითი ბრუნვა:

1. **შენ რძალმა** დემიბრიალა თვალები.
2. ზაირაის **უწიწარ** (თავხედი) **ბაღღმა**.

ნათესაობითი ბრუნვა:

1. **დიდ ფაბრიკა-ქარხნების** მუსობამ მთლა აახმაურა ჩუენი ქუჩები.
2. **დიდ ყარაპალულის** (ბრბო) მეთაური გმირი არი, გემევედეს აქეთ.

<sup>1</sup> ტ.ფუტყარაძე, მსაზღვრელ - საზღვრულის ბრუნებისათვის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დიალექტებში (აჭარულში, გურულში, მესხურ-ჯავახურში, იმერხელში): აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, VI, ბათ., 1987, გვ. 16, 17.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 17.

3. ზოგიერთ ბაღების გარშემო ისეთი ჩილაია (ნაყვავილარი).
4. დათხოვილ ბაღების უფრო მეტი ბათუმში წევდა.

მოქმედებითი ბრუნვა:

1. თავის წილ მიღებულ ქონებით კარგათ იქნება.
2. თავის მდგომარეობით კმაყოფილი იქნება.
3. ბუნებრივ სიტუაციით ისარგებლა.

გვაქვს ისეთი შემთხვევა, როცა საზღვრულს ახლავს რამდენიმე მსაზღვრელი. მაგ.:

1. მოცემულ მარტივი დავალების გაკეთება ყველას შეგიძლიათ.
2. ასეთ რეალური მონაყოლის მერე რანა ვქნა.

ასეთ შემთხვევებში პირველი მსაზღვრელი არ ეთანხმება ბრუნვაში საზღვრულს.

ყურადღებას იქცევს მსაზღვრელ-საზღვრულის რიცხვში შეთანხმების საკითხიც. სიმრავლის აღმნიშვნელ მსაზღვრელ სახელთან საზღვრული მრავლობითში დგას. მაგ.:

1. მრავალი დამახინჯებები მიიღო ავარიის შედეგად.
2. უამრავი ბუზები შემოვდა სახში.
3. ყველა წევრები წვიდ-წვიდნენ.
4. ყველა საბჭოთა მწერლები ძალიანა მომწონს და ვკითხულობ.
5. ზოგიერთი წარმოებები ძნელად გაიგების .
6. სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთები დაწერენ სხვადასხვანაირათა ამბავსა.

წითელუბნის ქართლელეთა მეტყველებაში უმეტეს შემთხვევაში მსაზღვრელად გვხვდება ზედსართავი სახელი, თუმცა ასევე გვაქვს შემთხვევები, როცა მსაზღვრელად გამოიყენება რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი. მსაზღვრელი ნაცვალსახელი ზოგჯერ მხოლოდ ხმოვნის სახით არის წარმოდგენილი. ვხვდებით ასევე შემთხვევებს, როცა ერთ საზღვრულს რამდენიმე მსაზღვრელი ახლავს. სოფელ წითელუბნის მეტყველებაში სუბსტანტიურმა მსაზღვრელმა შესაძლებელია სხვადასხვა მნიშვნელობა გამოხატოს, შეიძლება შეგვხვდეს: კუთვნილების, მასალის,

დანიშნულების, საგნის აღმნიშვნელი და სხვ. უმეტეს შემთხვევაში მსაზღვრელი საზღვრულს ქართული გრამატიკის წესის შესაბამისად ეთანხმება.

წითელუბანში მცხოვრებ აჭარელთა მეტყველებაში გვხვდება მსაზღვრელ-საზღვრულის შეკვეცილი და გარდამავალი სახეები. გვაქვს ხმოვანფუძიანი სახელი მსაზღვრელად, რომელსაც შეიძლება დაერთოს ი. მსაზღვრელ-საზღვრულს შორის თითქმის არასდროს არაა შეთანხმება ბრუნვაში. არის ისეთი შემთხვევებიც, როცა საზღვრულს ახლავს რამდენიმე მსაზღვრელი. ასეთ შემთხვევებში კი პირველი მსაზღვრელი არ ეთანხმება ბრუნვაში საზღვრულს. სიმრავლის აღმნიშვნელ მსაზღვრელ სახელთან საზღვრული მრავლობითში დგას.

### თავი III. ლექსიკური თავისებურებები

#### 1.1. ნასესხები ლექსიკა

საკუთრივ ქართული ფუძეები მნიშვნელოვანი რაოდენობით არის წარმოდგენილი თანამედროვე სალიტერატურო ქართული ენის ლექსიკურ ფონდში: ეს სიტყვები ქმნის იმ ბირთვს, რის გამოც ქართული ენა არა მხოლოდ გრამატიკული სტრუქტურით, არამედ ლექსიკის მიხედვითაც უეჭველად ქართულია. ამით განსხვავდება იგი ზოგიერთი ენისაგან, რომლებზედაც ჩვენი მეზობელი ხალხები ლაპარაკობენ.<sup>1</sup>

უცხოურ ლექსიკას ყველაზე ხშირად ახალგაზრდები ითვისებენ და იყენებენ საუბარში. ბარბარიზმების, ნეოლოგიზმებისა და ჟარგონების ხშირი ხმარება ქართული ენისა და ქართული დიალექტებისათვის დღეს უცხო აღარაა. ეს პროცესი თავისებურად არის ასახული სოფელ წითელუბნის მეტყველებაშიც.

წითელუბნის მეტყველებაში გვხვდება რუსულიდან ან რუსლის გზით შეთვისებული ბარბარიზმები. მაგ.:

**სტოლი** - მაგიდა.

**მაშინკა** - ხორცსაკეპი მანქანა.

**პალატკა** - წყალგაუმტარი ნაჭერი, რომელიც კარვის მაგივრობას სწევდა.

**დროჟი** - საფუარი.

**დუხოვკა** - შეშის ღუმელის ჰაერღუმელი.

**მეშოკი** - ტომარა;

**შტოფი** - მინის ჭურჭელი საღვინედ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სოფელ წითელუბანში მოსახლეობა ნარევია. ქართველების გვერდით ცხოვრობენ ოსები.

ოსური ენა ინდოევროპულ ენათაგანია, უფრო ზუსტად -- იგი ინდოევროპული ოჯახის ირანულ შტოს მიეკუთვნება. მაგრამ ირანულ ენებს იგი დიდი ხნის წინათ ჩამოშორდა ტერიტორიულად; ოსი მოსახლეობა იბერიულ-კავკასიურ ენათა გარემოცვაშია. თვით ის მიწა-

<sup>1</sup> ბ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974. გვ. 342.

წყალიც, რომელზედაც, ამჟამად ოსები ბინადრობენ , ადრე ადგილობრივი იბერიულ - კავკასიურ ენაზე მოლაპარაკე თემებით იყო დასახლებული. მოსულმა ოსმა მოსახლეობამ, რომელიც ადგილობრივს შეერია, გადასცა მათ თავისი ენა, მაგრამ თვით ოსურმაც ბევრი რამ შეითვისა ადგილობრივი მოსახლეობისაგან.<sup>1</sup>

#### ოსური ენისათვის დამახასიათებელი ლექსიკა:

ბუზნგ - მადლობა;

გოლლაგ - „ ჯვალოს ტომარა“, ტომარა;

ვასტრჯი - საოჯახო დღესასწაული, სახლთანგელიზობა;

თება - თუჯის ტაფა, რაზეც ხაჭაპურს , პურს ახობენ;

იგ - ერთი;

მა - ჩემი;

სუარ - წათხი;

ყებულ - მოფერებითი სიტყვა „შვილო“, „ჩემო პატარავ“;

ცეხერაჯნ - ფხლიანა;

ძუარ - სალუცავი;

ძუარბონ - დღეობა;

ჰალე - მოიცა,( მოიცა, მე მოგიყვები).

წითელუბნის ოსთა მეტყველებაში ვხვდებით ქართულ სიტყვებს, რომლებიც კარგად შემოინახა აქაურმა ხალხმა და მათ აქტიურადაც იყენებს ყოველდღიურ საუბარში. მაგ.:

გობა - სპილენძის დიდი ქვაბი, რომელსაც არაყის გამოსახდელად იყენებენ.

დვრიტა - მაჭიკი, რითაც ყველის მკვეთს აკეთებდნენ.

ზედადგარი - რკინის სამფეხა სადგამი რაზეც გობს შედგამდნენ.

ლოლო - კვირტი.

დადე (მდადე, მდადი)- მეჯვარე.

---

<sup>1</sup> ბ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974. გვ. 348.

სიტყვების გადასვლა ერთი ენიდან მეორეში ადვილად ხერხდება, რადგან ლექსიკური ფონდის ელემენტთა რაოდენობა ფაქტობრივ განუსაზღვრელია და ურთიერთკავშირიც მათ შორის სუსტია.<sup>1</sup>

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ არც ისე შორეულ წარსულში თურქული ენის ოფიციალურმა ჰეგემონიამ ქართული ენის აჭარულ კილოს საკმაოდ მძლავრი დადი დაასვა. ეს გავლენა კი ყველაზე მეტად ლექსიკას შეეხო, აჭარულის ლექსიკაში დღეს თურქული ენის მთელი ფენა გამოიყოფა.<sup>2</sup>

თურქული ენიდან ნასესხები სიტყვები ლექსიკის თითქმის ყველა სფეროს მოიცავს, თანამედროვე თაობის მეტყველებაში, დღესდღეობით ისეთი რაოდენობით აღარ იხმარება, როგორც უწინ, ნასესხებ სიტყვებს მოხუცების საუბარში თუ გავიგებთ, ისიც იშვიათად. ერთ-ერთი ფაქტორი ამ პროცესისა კი ის არის რომ ქართული ენა მძლავრი სისწრაფით ვითარდება და ასევე სხვა დიალექტების ზემოქმედებაც დიდ როლს თამაშობს ნასესხები სიტყვების ჩანაცვლებაში. ამრიგად ნასესხები სიტყვების ხმარება ქართულ მეტყველებაში დღითიდღე იკლებს და მათ ადგილს შეძლებისდაგვარად ქართული სიტყვები იკავებს.<sup>3</sup>

როგორც ქართლური, ისე აჭარული ლექსიკაც განიცდის სხვა ენების გავლენას. რადგანაც აჭარა თურქეთის მოსაზღვრეა, შესაბამისად განიცდის თურქული ელემენტების სიმრავლეს ლექსიკაში. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქართლში აჭარიდან გადმოსახლებულ ეკომიგრანტთა მეტყველებაში მცირე რაოდენობით შეინიშნება ნასესხები სიტყვები.

აჭარულმა თურქულსგან ძირითადად შეიძინა მუსლიმანურ-რელიგიური კულტის ამსახველი ტერმინები, რომლებიც თურქულში არაბულიდან ან სპარსულიდან შევიდა და დამკვიდრდა... ასევე აქტიურად იხმარებოდა ნათესაური კავშირის აღმნიშვნელი სიტყვები, ტანსაცმლის და

---

<sup>1</sup> ბ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974, გვ. 346.

<sup>2</sup> შ. ნიჭარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი, ბათ., 1971, გვ. 59, 60.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 60.

სამკაულების აღმნიშვნელი სიტყვები და, რა თქმა უნდა, სამზარეულოს ლექსიკაც არ ჩამორჩება მათ. ნასესხებ სიტყვათა საგრძნობი რაოდენობა, რომლებიც აღნიშნავს საყოფაცხოვრებო მოვლენებს, შრომა-საქმიანობასა თუ საგნებს, გვევლინება ქართული სიტყვების სინონიმებად.<sup>1</sup>

აჭარელთა მეტყველებაში დადასტურებული თურქული ან თურქულის გზით (აზერბაიჯანული, სპარსული..) შემოსულ ლექსიკაზე მსჯელობისას ძირითად ვყვრდნობით შ. ნიჟარაძისა<sup>2</sup> და ჯ. ნოღაიდელის<sup>3</sup> ნაშრომებს.

წითელუბნის აჭარელთა მეტყველებაში დადასტურებული ნასესხები ლექსიკა:

- თემენა - მისალმება, მადლობის თქმა;
- სოი - ჯიში;
- ფარა - ფული;
- ფეშკირი - პირსახოცი;
- ფეჩა - პირბადე;
- ჩერჩეფი - ჩადრი;
- ყათმერი - საქორწილო ტკბილეული;
- ჯუმადია - მამიდის ქმარი;
- ჯვალა - ტომარა;
- ქონიარე - შეძლებული;
- ურუბა - თბილი ტანსაცმელი;
- ვიბიში - ადგილი სადაც მარცვლეულს თესავენ;
- თაბალი - საინი;
- ყათირი - ვირი;
- ტაია - მამის ძმა, ბიძია;
- გელინი - სტუმარი;
- ქუფეითი - საყურე;

---

<sup>1</sup> შ. ნიჟარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი, ბათ., 1971, გვ. 60-61..  
<sup>2</sup> შ. ნიჟარაძე, ზემოაჭარულის თავისებურებანი, ბათ., 1957, გვ. 127-163;  
შ. ნიჟარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი, ბათ., 1971, გვ. 71 -450.  
<sup>3</sup> ჯ. ნოღაიდელი, აჭარული კილოს თავისებურებანი, ბათ., 1960, გვ.42.

**უწიწარი** - უზრდელი, თავხედი;

**ყარაპალული** - ბრბო.

ზემოაქარულში საჭმელების, ტანისამოსისა და მშენებლობის ლექსიკაში ჭარბობს ნასესხები სიტყვები. უცხოურმა ძლიერმა გავლენამ აქარელთა ყოფა-ცხოვრებაზე განსაზღვრა ეს ცვლილებები ლექსიკაში. შედარებით კარგადაა დაცული მიწათმოქმედების, რთვა-ქსოვის, მეფუტკრეობის, მეაბრეშუმეობის, მესაქონლეობის ლექსიკა. ის ლექსიკა, რომელიც ისე მკვეთრად არ ასახავს მატერიალურ კულტურასა და ყოფა-ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებს.<sup>1</sup>

ნასესხები ლექსიკა დიალექტურ ლექსიკასთან ერთად იხმარება ხშირად. ჩვენ მასალებში დადასტურდა აქარულისათვის დამახასიათებელი ლექსიკა. მაგ.:

**უწიწარი** - უზრდელი, თავხედი;

**ჩილადა** - ნაყვავილარი ადგილი;

**ბაღანა** - ბავშვი;

**როყიო** - მაღალი კაცი. ქართლურში აღნიშნული სიტყვა უხემს, უმნოს აღნიშნავს.

ამრიგად, როგორც გაანალიზებული მასალიდან ჩანს, სოფელ წითელუბნის მეტყველებაში ქართული სიტყვების გვერდით დასტურდება ნასესხები ლექსიკა: რუსული ენიდან შემოსული ბარბარიზმები, თურქული-აზერბაიჯანული და ოსური ენის ლექსიკის ელემენტები. ეს ელემენტები ძირითადად სამზარეულოს აღმნიშვნელ ლექსიკაში გვხვდება. აქვე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ თურქეთიდან ჩამოსახლებული მესხები მეტყველებენ თურქულად, აზერბაიჯანულად და რუსულად. მათ არ იციან ქართული ენა.

---

<sup>1</sup> მ. კობერიძე, ზემოაქარულის დარგობრივი ლექსიკა, თბ., 2011, გვ. 178.

## 1.2. ონომასტიკა

საკუთარი სახელი ენის ლექსიკური ფონდის სპეციფიკურ ფენას წარმოადგენს, სპეციფიკურს - როგორც მნიშვნელობა - დანიშნულებით, ასევე ფორმათწარმოებითაც. ყურადღებას იქცევს იგი თავისი წარმომავლობასა და ისტორიის თვალსაზრისითაც.<sup>1</sup>

„საკუთარი სახელი საზოგადოდ, ანუ ონომასტიკონი, ფართო ცნებაა და სხვადასხვა სახის სახელთა ერთობლიობას გულისხმობს. ონომასტიკონში ერთიანდება საკუთარი სახელები ადამიანთა – ანთროპონიმები, ტომთა და ხალხთა – ეთნონიმები, ცხოველთა, ფრინველთა მწერთა – ზოონიმები, ადგილისა – ტოპონიმები, მდინარეთა, ტბათა, ზღვათა - ჰიდრონიმები, რომლებიც ცალ-ცალკე შეისწავლებიან.“<sup>2</sup>

ჩვენი ქვეყნის ტოპონიმია მრავალმხრივია საინტერესო. უძველესი ქართული მიწა-წყლის გეოგრაფიული ნომენკლატურის შედარებით სრულად გამოვლენა საშუალებას მოგვცემს უფრო ახლოს შევისწავლოთ ისტორიული რეალიები და ახალი შუქი შევიტანოთ ძველი საქართველოს ისტორიული ამ ბნელით მოცულ საკითხებში, რომლებიც დიდი ხანია აზრთა მკვეთრი სხვადასხვაობის უმთავრესი წყაროა და, მეორე მხრით, რაც მთავარია, შეკრებილ - შეჯერებული მასალა ხელს შეუწყობს ქართველური ტოპონიმიკის კერძო და ზოგადი პრობლემების ძიების მკვიდრ ნიადაგზე დაყენებას.<sup>3</sup>

ადგილის სახელწოდებების ეტიმოლოგიას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გარკვეულ ტერიტორიაზე მოსახლე ხალხის ისტორიისა და ენის შესასწავლად, ეთნოგრაფიული საკითხების გასარკვევად (მათ შორის ყოფა-ცხოვრების ამსახველი მასალების).

ტოპონიმიკური კვლევა-ძიება ჩვენს სახელმწიფოში ბოლო ათწლეულების მანძილზე ფართო მასშტაბით გაიშალა და თვალსაჩინო შედეგებიც მოგვცა, აღუწერელი არ დარჩენილა არც ერთი რეგიონი, არც

<sup>1</sup> ბ. ჯორბენაძე, ონომასტიკური გულანი, თბ., 1993, გვ. 3.

<sup>2</sup> ალ. ლლონტი, ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები, თბ., 1988, გვ. 157.

<sup>3</sup> ალ. ლლონტი, ტოპონიმიკური ძიებანი, თბ., 1971, გვ. 3.

ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი, გამოიცა სპეციალური კრებულები, სადაც მდიდარი მასალა არის თავმოყრილი, დაიწერა და გამოიცა ასევე საყურადღებო გამოკვლევები, როგორც ტოპონომიკის თეორიულ საკითხებზე, ისე რეგიონთა მიხედვით აღწერის შედეგებზე, ტოპონიმთა სტრუქტურაზე, გაირკვა მრავალი ტოპონიმის ეტიმოლოგია, მოხდა ისტორიულ წყაროებში ფიქსირებულ სახელწოდებათა ლოკალიზაცია და ა. შ.<sup>1</sup>

ტოპონიმები ყოველთვის ცოცხალ ინტერესს იწვევდნენ სხვადასხვა პროფესიის და ასაკის ადამიანთა შორის. ამ დიდ ინტერესს განაპირობებს, უპირველეს ყოვლისა, ის ფაქტი, რომ ყოველ ტოპონიმს თავისი საკუთარი ბიოგრაფია აქვს. ტოპონიმებში აისახება ხალხის ისტორია და მსოფლშეგრძნება, ერის ტკივილი და ჭირ-ვარამი, ყოფიერება და საქმიანობა.<sup>2</sup>

წითელუბნის სახელწოდებასთან დაკავშირებით რამდენიმე მოსაზრება არსებობს:

1. სოფლის ასაკიანი თაობის ნაწილი ფიქრობს, რომ ამ ადგილას უწინ სასაკლავო იყო და ყველაფერი წითლად იყო შეღებილი და ამის გამო ეწოდა წითელი უბანი.
2. ზოგი კი ფიქრობს, რომ ამ ადგილას ყაყაჩოების ზღვა იყო, ამის გამო მოსწონებიათ და დასახლებულანო.
3. ზოგის მოსაზრებით კი ამ ადგილას წითელი არმიელები იყვნენ დაბანაკებულები (რამდენად სიმართლეს შეესაბამება არც თვითონ იციან მაგრამ წინაპართაგან მოუსმენიათ).
4. ებრაელები ამ ადგილს წინუბანს ეძახდნენ.

სოფლის თავზე ჩამოდის მდ. **ტორტლა (თორთლა)**, რომელიც დღეის მდგომარეობით დამშრალია. მოცემულ შემთხვევაში **თ** და **ტ** ერთმანეთის

<sup>1</sup> ნ. ოთინაშვილი, ლიახვის ხეობის ონომასტიკა, თბ., 2002, გვ. 7.

<sup>2</sup> ნ. ოქროპირიძე, ტოპონომიკური ძიებანი, გორ., 2008, გვ. 3.

პარალელურად იხმარება, ჩვენ ვვარაუდობთ, რომ თ-ს მაგივრად ტ-ს ხმარება რუსული ენის გავლენა უნდა იყოს.

სოფლის ტერიტორია ასეა დაყოფილია; **ბერლეა, ჭანდრები, გაღმა, მაცივრები, პალმეტა, არენდები, ბიტონები.**

ადგილის სახელების უმეტესობა იწარმოება -ებ სუფიქსით. მაგ.:

1. **ჭანდრ-ებ-ი.** ეს სახელწოდება მომდინარეობს ქარსაფრის ზოლისგან, რომელიც ჭადრის ხეებისან არის გაშენებული, მის მიმდებარე ტერიტორიას კი მოსახლეობამ უწოდა **ჭანდრები.**
2. **მაცივრ-ებ-ი.** სოფლიდან ცოტა მოშორებით დგას შენობა, რომელსაც უწინ საწყობად იყენებდნენ, ხილს და მარცვლეულს ინახავდნენ. რადგანაც კარგად ინახებოდა და შიგნით ციოდა, შენობაში რამდენიმე განყოფილება იყო და ამიტომაც ხალხმა მას **მაცივრები** უწოდა.
3. **არენდ-ებ-ი.** ეს ადგილი საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას მოიცავს. უწინ ეს ადგილი ერთ-ერთ შეძლებულ პიროვნებას ჰქონდა არენდით აღებული და გაუშენებია ხილით. შემდეგ ეს ადგილი ადგილობრივ მოსახლეობაზე დანაწილდა და სახელიც აქედან მომდინარეობს.
4. **ბიტონ-ებ-ი.** ამ ადგილს უწინ დიდი ხევი ჩამოდიოდა რომლის კალაპოტიც დიდდ ფუნდამენტებით იყო გამაგრებული და ამიტომ დაერქვა.
5. **საწყობ-ებ-ი.** მარცვლეულის შესანახი დიდი შენობები იდგა და შესაბამისი სახელიც ამიტომ ჰქვია.
6. **ფერმ-ებ-ი.** ამ ადგილას მსხვილფეხა საქონლის სადგომი მდებარეობს და ხალხი მას მოიხსენიებს, როგორც ფერმებს.

ადგილის ზმნისართი გამოყენებულია ტოპონიმად:

**გაღმა.** სახელწოდება მომდინარეობს ადგილის მდებარეობიდან, ეს ადგილი არის სოფლის გაღმა.

ადგილის სახელწოდებად გვხვდება არსებითი სახელი სახელობითი ბრუნვის ფორმით:

**პუნქტი.** ეს ადგილი სოფლის შესასვლელში მდებარეობს, სადაც ამჟამად სასაზღვრო პოლიციის საგუშაგო დგას. ძველად აქ კოლმეურნეობის შენობა იდგა.

-ელ სუფიქსით ნაწარმოებია ტოპონიმი: **ბერდ-ელ-ა**.

რთულფუძიანი ტოპონიმია **პალმეტა** (პალ-მეტ-ა), რომლის მნიშვნელობაც გაურკვეველია.

ქართველურ ენებში შტო-გვარის სახელები ძირითადად მრავლობითის ფორმით არის წარმოდგენილი, დაჩნდება ორი ძირითადი პრინციპი: ა) გამოყენებულია -ნ/ -თ სუფიქსიანი მრავლობითი: ლეკო-ნი, ქავთარა-ნი. სხვა ბრუნვებში -თ არის წარმოდგენილი: ლეკოთ თქვეს (მოთხრობითი), ლეკოთ შეუთვალეს (მიცემითი, ლეკოთ ხირჩლა (ნათესაობითი)...ბ) გამოყენებულია -ენ/ ეთ სუფიქსიანი მრავლობითი: ჩოფიკ-ენ-ი, მოსე-ენ-ი...მოთხრობითში, მიცემითსა და ნათესაობითში -ენ სუფიქსს შეენაცვლება -ეთ: ჩოფიკ-ეთ, მოსე-ეთ...<sup>1</sup>

წითელუბანში არის ხალხის მიერ შერქმეული უბნების სახელები, რომლებიც უბანში მცხოვრებ რომელიმე პირის სახელს ან გვარს უკავშირდება. ეს სახელები უმეტეს შემთხვევაში ნაწარმოებია **-ანთ, -ებ ან -თ** სუფიქსის დართვით. მაგ.:

1. **კოწიაანთ უბანი.** ეს სახელი წარმოქმნილია საკუთარ სახელზე **-ანთ** სუფიქსის დართვით. ამ უბანში ცხოვრობდა ვინმე **კოწია თვაური** და მის სახელს უკავშირდება ამ უბნის სახელიც.
2. **ნარიკა-ან-თ უბანი.** ეს სახელი კი ნაწარმოებია გვარზე დართული **-ან-თ** სუფიქსით. ამ უბნის თავში ცხოვრობს ოჯახი, გვართ ნარიკაევი, სწორედ აქედან მომდინარეობს ეს სახელწოდებაც.
3. **ყიყელა-ან-თ უბანი.** ეს სახელი წარმოებულია ამავე უბანში დროებით მცხოვრებ ერთ-ერთი პირის ზედმეტი სახელისაგან, რომელზეც დართულია **-ანთ** სუფიქსი.

---

<sup>1</sup> ბ. ჯორბენაძე, ქართველურ ენათა დიალექტები, თბ., 1995, გვ. 424-426.

4. **თენგიზ-თ უზანი.** ეს სახელი წარმოქმნილია საკუთარ სახელზე -თ სუფიქსის დამატებით. ოსი მოსახლეობა შტო-გვარის სახელებს შემოკლებული ფორმით იყენებს: თენგიზაანთ--თენგიზთ.
5. **პავლიკ-თ უზანი (პავლიკაანთ).** სახელწოდება მომდინარეობს საკუთარ სახელზე -თ სუფიქსის დართვით.
6. **ბინები.** ეს სახელი კი წარმოქმნილია სახელზე -ებ სუფიქსის დართვით.

-თ სუფიქსიანი ფორმა შესაძლოა გართულდეს მრავლობითობის -ებ სუფიქსით, რომელიც ამ შემთხვევაში სიტყვათწარმოებითი დანიშნულებითაა გამოყენებული; ნანუკ-იან-თ-ებ-ი: ნიშნავს ნანუკიანთ სათიბს.<sup>1</sup>

მსგავსი წარმოება დასტურდება სოფელ წითელუბნის მეტყველებაშიც. მაგ.: **ქისიანთები** კარგი თკბილია (ნიშნავს ქისიელების ვაშლს); **გოწოანთები** უნდა დავპატიჟოთ ( ნიშნავს: გოწოეების მთელი ოჯახი).

ზემოაქარულში -ან-ნ დაბოლოების მქონე სახელები ნაკლებად შეინიშნება, მაგრამ დაჩნდება -ან-თ დაბოლოება -- უპირატესად თანხმობაზე ფუძეგათავებულ სახელებთან: ფოთელ-ან-თი; ბეგ-ან-თ-ი. სხვა შემთხვევებში გამოიყენება ენ-თ სუფიქსი.<sup>2</sup>

შტო-გვარის მაწარმოებელ იგივე აფიქსებს ვხვდებით წითელუბანში მცხოვრებ აქარელთა საუბარშიც:

1. **რომანაანთ** ბათანაი გარბის;
2. **მურმანაანთ** შევდა ეხლახან.
3. **მახარაძეაანთ** თუ მუხვალ?.
4. **სევერაანთ** ძალი რაფე ყეფს.

<sup>1</sup> ბ. ჯორბენაძე, ონომასტიკური გულანი, თბ., 1993, გვ. 47.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 48.

„ეს საკითხი რთული და საინტერესოა. იგი ორგანულ კავშირშია მრავლობითი რიცხვის გადმოცემასთან, საერთოდ, და გეოგრაფიული სახელების წარმოებასთან.“<sup>1</sup>

-იან და -ან სუფიქსებითაა ნაწარმოები ქსნის, მეჯუდისა და სხვა ხეობების მთელი რიგი სოფლები და აწ უკვე მეტი ნასოფლარები გვარების მიხედვით, მაგალითად: ელოიანი-ელოშვილები, გულარიანი-გულაშვილები, ლოთიანი - ლოთიშვილები, პაპიანი - პაპიშვილები, მაჭარაანი - მაჭარაშვილები, შიუკაანი - შიუკაშვილები, მარტიანი - მარტიშვილები, ჩიტანი - ჩიტაშვილები და სხვ.<sup>2</sup>

ოსი მოსახლეობის უმეტესობას შემდეგი გვარები შეადგენს: ქისიევი, ქისიშვილი, გოწოევი, დრიაევი, დუდაევი, ბოლოთაშვილი, კაძილოვი, სიუკაევი, კუსრაევი, ელიძაროვი. ასევე არიან თვაურები და ბედელურები, რომლებიც თავს ოსებად თვლიან. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ გვართა განსახლება და წარმომავლობა ქართულია.

სოფელ წითელუბანში დადასტურებული გვარებიდან გვხვდება მხოლოდ შიუკაშვილების შეცვლილი ვარიანტი: სიუკაევი - სიუკაშვილი. ეს პროცესი შესაძლოა ს-სა და შ ბგერის მონაცვლეობა იყოს ოსურ მეტყველებაში.

ფილიევის აქვს ქართული წარმოება- ფილიშვილი.

ოსურ მეტყველებაში ასევე ერთმანეთს ენაცვლება ქ და ჩ ბგერები: ქისიათა- ჩიშიათა (ქისიევეები). -თ სუფიქსი ოსურ მეტყველებაში -ებ სუფიქსს ცვლის. ქისიშვილი მხოლოდ ერთი ოჯახია, რომელიც ნაწრეტიდან არის გადმოსული. ისინი თვლიან, რომ ქისიშვილი მომდინარეობს ქისიევი-დან. მათი წინაპრები ცხოვრობდნენ კახეთში.

ასევე მონაცვლეობს ვ და უ ბგერები ქართულსა და ოსურ მეტყველებაში თვაურები - თუათე. თვაურები სოფელ წითელუბნის გარდა ცხოვრობენ ახალგორში, ახალუბანში, გორში, გრემისხევში, დიდ

<sup>1</sup> გრ. ბერიძე, ქართული ენის ჯავახური კილო, თბ., 1988, გვ. 142.

<sup>2</sup> ნ. ოთინაშვილი, ცხინვალის რეგიონის გეოგრაფიული სახელები, თბ., 2016, გვ. 364-365.

მეჯვრისხევში, ზემო ხვედურეთში, ზელდულეთში, ზერტში, ზემო ჩოჩეთში, თვაურებში, კავთისხევში, კასპში, ლამისყანაში, მცხეთაში, ნაწრეტში, ოკამში, ფლაგში, ქიწნისში, ქორდში, წეროვანში.....

დიდი ლიახვის ხეობიდან, კერძოდ, ხეითიდან იძულებით გადმოსახლებული ორის გვარი ცხოვრობს: **ხიდაშელი** და **მზარეულიშვილი**.

სოფელ **კვარხეთიდან** გადმოსულია საცხოვრებლად ორი გვარი: **პაპიტაშვილი** და **ედიშერაშვილი**. მოსული გვარებიდან ფიქსირდება: **ჭულუხაძე** (სოფელ ერედვიდან), **სრესელი** (სოფელ ახალი უბნიდან), **ილურიძე** (სოფელ რენედან), **ქერდიყოშვილი** (სოფელ ხურვალეთიდან).

-ურ/-ულ სუფიქსი ქართულ გვარებში ჩვეულებრივ ნივთის, იშვიათად ადამიანის სადაურობის აღმნიშვნელია.<sup>1</sup>

მაგ.: **თვა-ურ-ი**, **ბელელ-ურ-ი**, **ხიდაშ-ელ-ი**.

28 წლის წინ ხულოს რაიონის სოფელ ჩაოდან, ხიხაძირიდან და შუახევიდან მოსახლების მიგრაციის მიზეზი სტიქიური უბედურების საფრთხე, კერძოდ კი, მიწის ეროზია გახდა. აჭარიდან ჩამოსული ემიგრანტები სამი გვარის წარმომადგენლები არიან: **ცეცხლაძეები**, **შავაძეები** და **მახარაძეები**. ამ გვარის წარმომადგენლები ასევე ცხოვრობენ: სოფელ ნაწრეტში, ქიწნისსა და ქვემო შავშევებში.

ეს გვარები ძირითადად ძე-ზე ბოლოვდებიან და საკუთარი სახელი ან მეტსახელი უნდა ედოს საფუძვლად. მაგ.: ცეცხლა-ძე, შავა-ძე, მახარა-ძე. იგივე წარმოების წესი გვახვდება შვილზე დაბოლოებულ გვარებშიც.<sup>2</sup>

მაგ.: ბოლოთა-შვილი, მზარეული-შვილი, პაპიტა-შვილი, ედიშერა-შვილი და სხვა.

ადგილობრივი მაცხოვრებლების ცნობით, წითელუბანში უწინ თოფჩიშვილებიც (თოფჩი-შვილი) ცხოვრობდნენ.

<sup>1</sup> ალ. ღლონტი, ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები, თბ., 1988, გვ. 191.

<sup>2</sup> იქვე, გვ.190.

სოფელ წითელუბანში ცხოვრობენ მესხებიც, რომლებიც ჩამოსახლეს თურქეთიდან. ისინი საუბრობენ რუსულად, თურქულად და აზერბაიჯანულად. მათგან ერთადერთი ადამიანია სალიმ ისკანდეროვი, რომელმაც ქართული ენა იცის (აქვს უმაღლესი განათლება). ინტერვიუს დროს მან აღნიშნა, რომ სამი ძმანი არიან. პირადობაში ერთს თათარი უწერია, მეორეს – ქურთი, მესამეს კი – აზერბაიჯანელი. მათი ქართული გვარია ყურამე.

აქ ცხოვრობენ **სულიმანოვები** (წინაპართა გვარია ხოზრევანიძე), **თაშთანოვები** (წინაპართა გვარია კაკუნაშვილი). ისინი თავს ქართველებად თვლიან. საბჭოთა კავშირის დროს მესხები ადიგენიდან გადასახლეს თურქეთში.

ამრიგად, სოფელი წითელუბანი ეთნიკური და დიალექტური მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ამ სოფელში ერთმანეთის გვერდით უკვე წლებია ცხოვრობს ოსი და ქართველი (ქართლელი, აჭარელი და თურქეთიდან ჩამოსახლებული მესხი) მოსახლეობა. მესხების ცნობიერებას შემოუნახავს ქართველობის იდენტობის მახასიათებელი-წარმომავლობა და გვარი, თუმცა მესხური დიალექტის დამახასიათებელი ენობრივი ფორმები მათში წაშლილია. აქ დადასტურებული ონომასტიკური მასალა საერთო ქართულია, არ გვხვდება ნასესხები ტოპონიმები და მაწარმოებელი აფიქსები.

გვაროვნულ სახელთა საწარმოებლად გამოყენებულია ის ფუძეები (ადამიანთა საკუთარი სახელი, მეტსახელი...) და მაწარმოებლები ( **-ურ**, **-ულ**, **-ძე**, **- შვილი**) აფიქსები, რომლებიც გვხვდება ქართული ენის სხვა დიალექტებშიც და ასახავს ქართველი ხალხის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ყოფა-ცხოვრებასა და კულტურას. ქართული ენისათვის დამახასიათებელი **-ან-თ** შტო-გვარის მაწარმებელი სუფიქსი (**ნარიკა-ან-თი**, **რომანა-ან-თი**..) ოსთა მეტყველებაში წარმოდგენილია **-თ** სუფიქსით ( **თენგიზ-თ>თენგიზა-ან-თი**..). ეს მოვლენა ოსურში ქართულის სამეტყველო კოდების გადართვაზე უნდა მიგვანიშნებდეს.

## დასკვნა

სამაგისტრო ნაშრომში ჩვენ მიერ მოძიებული დიალექტური მასალის ანალიზის საფუძველზე შესწავლილია სოფელ წითელუბნის მეტყველება. კვლევის შედეგად გამოვლინდა ქართლური და აჭარული დიალექტებისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური, გრამატიკული და ლექსიკური თავისებურებები: გრძელი ხმოვნები, მორფემათა ზღვარზე მიმდინარე ფონეტიკური პროცესები, ბრუნვის ნიშნებთან დაკავშირებული ცვლილებები, მავრცობი ხმოვნები, მსაზღვრელ-საზღვრული, ნასესხები ლექსიკა და ონომასტიკა.

ქართლური დიალექტის გავრცელების ამ არეალში დადასტურდა ოსური და თურქულ-აზერბაიჯანული ენებისათვის დამახასიათებელი სამეტყველო კოდები.

წითელუბნის აჭარელთა მეტყველებაში ხშირად გამოიყენება გრძელი ა, ე, ი, ო, უ ხმოვნები. ქართლელთა მეტყველებაში გრძელ ხმოვნებს იშვიათად ვხვდებით. ქართლურის გადართვის შედეგი უნდა იყოს ოსურ სიტყვებში გრძელი ხმოვნები.

მორფემათა ზღვარზე მიმდინარე ფონეტიკური პროცესებიდან უფრო გავრცელებულია ასიმილაციის შემთხვევები. აჭარელთა მეტყველებაში ასიმილაციის პროცესს დისიმილაციაც მოსდევს (აე-ეე-იე). აჭარულისაგან განსხვავებით ქართლურში უფრო ხშირია უასიმილაციო ფორმები. იშვიათად შეინიშნება მორფემათა ზღვარზე მიმდინარე დისიმილაციის პროცესი ხმოვნებში.

წითელუბანში მცხოვრებ ქართლელთა და აჭარელთა მეტყველებაში ბრუნვის ნიშნის ალომორფები წარმოდგენილია იმავე ხმოვნებით, რაც გვხვდება სალიტერატურო ენაში. ზოგჯერ შეინიშნება თავისებურებაც. სახელობით ბრუნვაში ხმოვანფუძიან სახელებთან გვაქვს -ი და ნულოვანი ალომორფი, მოთხრობითში -მ და -მა, მ-ზე ფუძეგათავებულ სახელებთან გვაქვს ერთი მ. მიცემითში ზოგჯერ იკარგება ბრუნვის ნიშნის -ს ელემენტი.

ხშირად -დ ვითარებითი ბრუნვის ნიშანი წარმოდგენილია ყრუ -თ-თი. წოდებითის ნიშნად კი გვაქვს ვ და ო, ცვლილებას მხოლოდ საკუთარი სახელები განიცდიან.

აჭარელთა მეტყველებაში სახელობით ბრუნვაში თანხმოვანფუძიან სახელებთან იკარგება -ი ბრუნვის ნიშანი (**ბიჭ, ნათესავებ**), ხმოვანფუძიანებთან კი გვხვდება **ჲ** (იოტი). მოთხრობითში შემონახულია **-მან** ბრუნვის ნიშანი (**ფეილაძერმან, დედამთილმან**). მიცემითისა და ნათესაობითი ბრუნვის ნიშნები თანხმოვანფუძიან სახელებთან (**ერთმანეთ დუუძახებენ, დედამთილ გეჲ ცნობდენ**) უმეტესად დაკარგულია. ვითარებითი ბრუნვის ნიშნად გვაქვს -თ, როგორც ქართლურში. ხმოვანფუძიან და თანხმოვანფუძიან სახელებთან (მათ შორის საკუთარ სახელებთან) წოდებითში ბრუნვის ნიშნად გვაქვს -ო (**მურმანო, რომანო**).

განაალიზებული მასალიდან ჩანს, რომ სოფელ წითელუბნის მეტყველებაში ქართული სიტყვების გვერდით დასტურდება ნასესხები ლექსიკა: რუსული ენიდან შემოსული ბარბარიზმები, თურქული-აზერბაიჯანული და ოსური ენის ლექსიკის ელემენტები. ეს ელემენტები ძირითადად სამზარეულოს აღმნიშვნელ ლექსიკაში გამოიყენება. აქვე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ თურქეთიდან ჩამოსახლებული მესხები მეტყველებენ თურქულად, აზერბაიჯანულად და რუსულად. მათ არ იციან ქართული ენა (მეტყველებაში წაშლილია მესხურის კვალი), თუმცა მესხიერებას შემოუნახავს ქართველთა იდენტურობის მახასიათებელი - წინაპრის გვარი.

წარმოდგენილი მასალის მიხედვით, წითელუბნის მეტყველებაში გამოიყენება ორი მავრცობი ხმოვანო -ა და -ი . აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ქართლურ მეტყველებაზე ხდება აჭარულის გადართვა.

წითელუბნის მეტყველებაში უმეტეს შემთხვევებში მსაზღვრელი საზღვრულს ქართული გრამატიკის წესის შესაბამისად ეთანხმება. აჭარელთა მეტყველებაში გვხვდება მსაზღვრელ-საზღვრულის შეკვეცილი და გარდამავალი სახეები. თითქმის არასდროს არაა შეთანხმება მსაზღვრელი-საზღვრულს შორის ბრუნვაში. არის ისეთი შემთხვევებიც, როცა საზღვრულს ახლავს რამდენიმე მსაზღვრელი. ასეთ შემთხვევებში კი

პირველი მსაზღვრელი არ ეთანხმება ბრუნვაში საზღვრულს. საზღვრული მრავლობითში დგას სიმრავლის აღმნიშვნელ სახელთან.

სოფელ წითელუბანში დადასტურებული ონომასტიკური მასალა საერთო ქართულია, არ გვხვდება ნასესხები ტოპონიმები და მაწარმოებელი აფიქსები. გვაროვნულ სახელთა საწარმოებლად გამოყენებულია ის ფუძეები (ადამიანთა საკუთარი სახელი, მეტსახელი...) და მაწარმოებლები (-ურ, ულ, -ძე, -შვილი) სუფიქსები, რომლებიც გვხვდება ქართული ენის დიალექტებში და ასახავს ქართველი ხალხის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ყოფა-ცხოვრებასა და კულტურას. ქართული ენისათვის დამახასიათებელი **-ან-თ** შტო-გვარის მაწარმებელი სუფიქსი (ნარიკა-ან-თი, რომანა-ან-თი) ოსთა მეტყველებაში წარმოდგენილია **-თ** სუფიქსით ( თენგიზ-თ >თენგიზა-ან-თი..). ეს მოვლენა ოსურში ქართულის სამეტყველო კოდების გადართვაზე უნდა მიგვანიშნებდეს.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ბერიძე გრ. ქართული ენის ჯავახური კილო. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1988, 264 გვ.
2. გიგინეიშვილი ი. თოფური ვ. ქავთარაძე ი. ქართული დიალექტოლოგია. I. ქართული ენის კილოთა განხილვა. ტექსტები. ლექსიკონი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1961, 633 გვ.
3. გოგოლაშვილი გ. შარაშენიძე ნ. ცოცანიძე გ. ჭუმბურიძე ნ. თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია. II. დიალექტები. გ. გოგოლაშვილის რედაქციით. თბილისი, 2016, 843 გვ.
4. დადიანი ე. ზმნური მავრცობი -ა ტაოურში:ქართველური მემკვიდრეობა. XXI. რედაქტორი ტ. ფუტყარაძე . ქუთაისი, 2017, გვ. 90-97.
5. იმნაიშვილი გრ. ქართლური დიალექტი. I. გამოკვლევა. გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1974, 279 გვ.
6. კვაჭაძე ლ. თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი. გამომცემლობა „განათლება“. თბილისი, 1988, 491 გვ.
7. კობერიძე მ. ზემოაჭარულის დარგობრივი ლექსიკა. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2011, 243 გვ.
8. კობერიძე მ. ზმნისწინთა ზოგი ფონეტიკური ცვლილებისათვის ქართლურში: სამეცნიერო ჟურნალი „ენა და კულტურა“, #14. რედაქტორი მ. მიქაძე, ქუთაისი, 2015, გვ. 50-58.
9. კობერიძე მ. ქართლურისა და აჭარულის ურთიერთმიმართებისათვის სოფელ წითელუბნის მეტყველებაში: XXXV რესპუბლიკური სამეცნიერო სესიის მასალები. თბილისი, 2015, გვ. 25-27.
10. კობერიძე მ. ხმოვანთა გაგრძელების შემთხვევები ცენტრალურ ქართლურში: XXXIX რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები. თბილისი, 2019, გვ. 44-45.
11. კობერიძე მ. მავრცობი ხმოვნები ქართლურში: წელიწდეული. XI. რედაქტორი ტ. ფუტყარაძე. ქუთაისი, 2019 , გვ. 80-96.

12. კობერიძე მ. დროის აღმნიშვნელი ზმნისართები შიდაქართლურში: ფილოლოგიური კვლევები. #1. რედაქტორი ალ. მღებრიშვილი. გორი, 2020, გვ. 53-75.
13. მარტიროსოვი არ. ქართული დიალექტოლოგიის ისტორიისათვის. გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1972, 186 გვ.
14. ნიჟარაძე შ. ქართული ენის აჭარული დიალექტი ლექსიკა. გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“, ბათუმი, 1971, 463 გვ.
15. ნიჟარაძე შ. ზემოაჭარულის თავისებურებანი. აჭარის ასსრ გამომცემლობა, ბათუმი, 1957, 171 გვ.
16. ნოლაიძელი ჯ. აჭარული კილოს თავისებურებანი. ნარკვევები და ჩანაწერები. II. აჭარის ასსრ სახელმწიფო გამომცემლობა, ბათუმი, 1960, 199 გვ.
17. ოთინაშვილი ნ. ლიახვის ხეობის ონომასტიკა. გამომცემლობა „ცსუ“, თბილისი, 2002, 265 გვ.
18. ოთინაშვილი ნ. ცხინვალის რეგიონის გეოგრაფიული სახელები. გამომცემლობა „საარი“, თბილისი, 2016, 550 გვ.
19. ოქროპირიძე ნ. ტოპონიმიკური ძიებანი. I. გორი. გამომცემლობა „ფარნავაზი“, გორი, 2008, 48 გვ.
20. სომხიშვილი ვ. ქსნის ხეობის მეტყველება. გამომცემლობა „ირისტონ“, ცხინვალი, 1968, 88 გვ.
21. ფეიქრიშვილი ჟ. ქართული ენის სინტაქსი. გ. ტაბიძის სახელობის სააქციო საზოგადოება „სტამბის“ საგამომცემლო ცენტრი, ქუთაისი, 1998, 319 გვ.
22. ფეიქრიშვილი ჟ. ქართული ენის მორფოლოგია. IV. ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ქუთაისი, 2010, 260 გვ.
23. ფოჩხუა ბ. ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1974, 401 გვ.

24. ფუტყარაძე ტ. მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნებისთვის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დიალექტებში (აჭარულში, გურულში, მესხურ-ჯავახურში, იმერხეულში): აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა. VI. გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1987, გვ. 16-29.
25. ფუტყარაძე ტ. მიქაუტაძე მ. ქართული სამწიგნობრო ენის ფონეტიკა. თბილისი, 2014, 192 გვ.
26. ღლონტი ალ. გრძელი -ა-ს საკითხისათვის ქართულურში: ფილოლოგიის ჩანაწერები. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1980, 228-235 გვ.
27. ღლონტი ალ. ტოპონიმური ძიებანი. I. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1971, 107 გვ.
28. ღლონტი ალ. ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები. გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1988, 263 გვ.
29. შანიძე შ, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, ტ. I, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1973, 659 გვ.
30. ძიძიგური შ. ხმოვანთა კომპლექსების ფონეტიკური პროცესები ქართულ დიალექტებში: ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან. თბილისი, 1954, 109 გვ.
31. ხ. ჯანგავიძე, ქართული ენის ტაოური და იმერხეული დიალექტების ფონემათა სინტაგმატური ანალიზი. სადისერტაციო ნაშრომი. წმინდა ანდრია პირველწოდებულის ქართული უნივერსიტეტი, თბილისი, 2015, 354 გვ.
32. ჯორბენაძე ბ. ქართული დიალექტოლოგია, 1, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1989, 635 გვ.
33. ჯორბენაძე ბ. ონომასტიკური გულანი. გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1993, 180 გვ.
34. ჯორბენაძე ბ. ქართველურ ენათა დიალექტები. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1995, 448 გვ.

## დიალექტური მასალა (ტექსტები) წარსული

იცი როგორ მომენატრა სკოლის პერიოდი?! გახსოვს თოვლში რო ჩაგფალი? ეხლა სადღაა მაგხელა ნამქერი.... იცი კიდე რა გამახსენდა? შატალოზე რო გავიპარეთ და ჩიტამე რო თავზე დაგვადგა და უკანვე რო დაგვებრუნა. მაგარი იყო ძან..... ეხლა კიდე ყველა დავიშალეთ ერთმანეთს პირადად რო შევხვდეთ მგონი ვედარც გიცნობ (საუბარი სოციალური ქსელის მეშვეობითაა). მოი ეს ვირუსი რომ გაივლის შევიკრიბოთ....იმედია ამას ოდესმე მოვახამთ თავს.

რუსლან შავაძე 32 წლის

## ქართულ-ოსური ურთიერთობები

მე რომანი შავაძე ვარ, 50 წლის, საუბედუროდ სიბერის სტადიაში ვარ. მყავს აჭარელი მეუღლე, თუმცა რო არ ვყოფილიყავ დაქორწინებული დიდი სიამოვნებით მოვიყვანდი, რა მოხდა ახლა, ოს ქალს. თუ გამომყვებოდა რა თქმა უნდა. აქ დაბადებული შვილები მყავს. სოფლის ამბავში ყველა გაცეცხულია, რაც ხდება ჩვენს ირგვლივ, აი ოსურ ქართულ სინამდვილეში, მე ამას ვიტყვი ძალიან ხმამაღლა რომ არის იდეალური კონტაქტი. აქ 90 წელს უკვე დავმკვიდრდით, სტუდენტობა მოვრჩი ბათუმში და წამოვედით. იმ პერიოდისათვის სხვანაირი ცხოვრება იყო, არაჩვეულებრივი საზოგადოება, ტერიტორია. ძალიან იდეალურად ავეწყვეთ სამეზობლოში, ცხოვრობდენ ოსური მოსახლეობა და დღემდე მიდის ეს იდეალური ურთიერთობა ჭირი ერთი გვაქ, ლხინი ერთი გვაქ, ტკივილი და სიცილი. სკოლაში ვმუშაობ და ვუყურებ ბავშვების, მშობლების, სამეზობლოს ურთიერთობას. საერთოდ რო არ გვაქ რაიმე სახის კონფლიქტი, 28 წლის განმავლობაში ვერ გავიხსენებ ვერც ერთ დღეს რომ რაიმე უთანხმოება გვქონოდა.

რომან შავაძე 50 წლის

## ტრადიციები

28 წლის მიუხედავად ჩვენი წესები არ დაგვიწყებია ან რაფერ შეგვძლია დევივიწყოთ. მოხუცები პირნათლად ვიცავთ ყველა წესს, რომელიც წარსულიდან მოგვდევს, აი ახალგაზრდები კი სულ გადაგვარდნენ (გადაგვარებაში მუსლიმანობიდან მართმადიდებლობაზე გადასვლას გულისხმობს). რაფერ შეიძლება დევივიწყო ის წეს-ჩვეულებები, ეგერ მე მაქს ორი კრიალოსანი, რომელიც მამამ დემიტოვა და მას მეც ჩემ შვილს დეუტოვ.

სამზარეულო ძალიან კარგი გვაქ, ოსებმა ჩვენთან ბევრი რამე ისწავლეს, მაგალთად, ბორანო ჩვენგან გედვილეს მათ, აჩმას აქანე კი არ აკეთებდენ,

მაგიც ჩვენ ვასწავლეთ. მლოცავიც არ ყამდათ ზემოთ რო ქიმსეია იმასთან მიყამდათ.

თამარ შავაძე 82 წლის

## საუბარი სამარშუტო ტაქსიში

-რაფერ ხარ ჯო?

-არმიშავს რა. ე ბიჯო ამფერი სიმძვირე გაგონილაა? დეინახე ვერაფერც ვერ ვიყიდე 70 მანეთი მქონდა და ერთი ჯვალაი( ტომარა) ქვილინა მემვიდა, კალოობამდე ადრია თვარა არც ვიყიდდი.

- აგრეა აგრე. მაშ არ ჯობდა ადრენა? ამფერი დრო ყოფილა? დრომა მოიტანა ასეთი სიმძვირე.

- ჰაიდა, მაი იქეთ იყოს და ბალანაი რაფერ არი? სამუშაოთ გევდა, ერთი-ორი მანეთიც რუმ გააკეთოს ეგიც რაცხაა

-მემრენა მუალთ ნახვაი გვინდიან და....

-მოით მოით.

გენადი შავაძე 50 წლის, მალხაზ შავაძე 47 წლის

## აჭარული ქორწილი

ადრე ქორწილის სამი წესი ყოფილა გვერცელებული: მოტაცებაი, დაჯდომაი და ნიშნობაი.

ყველაზე უფრო გარიგებით თხოვდებოდენ. მეც აგერ მასე გემეთხოვეს. ჯუმადიამ (მამიდის ქმარი)გემეთხოვა, ვინცხა გემიგა. პირველად ქორწილში ვნახე. მაგ დროს კითხულობდენ ბიჯის მამა-პაპაის, შესაძლებლობასა, პატიოსნებასა., ნიშნობაც ხდებოდა ისე, რომ გოგოი და ბიჭი ერთმანეთს არ იცნობდენ. ქორწილი შემდეგ გეიცნობდენ ერთმანეთ. ქორწილი ღამით იცოდნენ. თუ შორი იყო, დედოფალი მორთულ-მოკაზმული ცხენითა მეყავდათ, თუ ახლოს იყო – ფეხით. დედოფალს ტანზე ჩერჩეფი (ჩადრი) ჰქონდა მოხვეულის. პირზე ფეჩა (პირბადე) ჰქონდა ჩამოფარებული, რო არვის დეენახა. დედოფალ ორ დადე (მეჯვარე) ჰყავდა. ეს დადეები დედოფალს ცავდენ, არვის დაანახვებდენ. ეზოში რომ მიიყვანდენ, დედამთილ დუშუბახებდენ და ასე მუმღერებდენ: „დედამთილო, გამოგვხედე, მოგიყვანეთ სახლი რძალი, ავი თვალით თუ შეხედო, ძალღმა გახრას შენი ძვალიო“.

დედამთილი რძალს კენჭი შაქარს(შაქრის ნატეხი) გადააყრიდა. საინს გაატეხიებდა, კარებზე დანებს მიასობდენ და შეიყვანდენ სახში, მუყვანდენ კერაის, ხელს მოასმევიებდენ და ასე ეტყოდენ: ეს კერაი შენიაო. მერე დედოფალს ფარდაში დეეყენებდენ და ფეხებთან ძირს ფეშკირს (პირსახოცს) გუუგებდენ. ვინც დედოფალს ნახავდა, ფარაის(ფული)

აჩუქებდა და ფეშკირზე დუუდებდა. დედოფალი მადლობი გადახდით თემენას(მისალმება) გუკეთებდა. ბოლოს დედოფლის ძმას უნდა ეხადა სახეზე ფეხა, მაგრამ ამ ფეხი ახდაში მამათილ ბევრი ფარანა(ფული უნდა) მიეცა. მაყარი დილამდისა სმა-ჭამით ირთობდა თავსა. ქორწილის შემდეგ ამ ფეშკირს გაჭირვებულს მიცემდენ, მოტაცება ხშირად ასეც ხდებოდა როცა გოგო-ბიჭს ერთმანეთი უყვარდა და ბიჭს ნიშან-ბოხჩაის მიტანა არ შეეძლო... დაჯდომა კი მაშინ ხდებოდა როცა ქალსა უყვარდა ბიჭი, წევდოდა და სახში დუუჯდებოდა, ქალაის უკან მოტიალება დიდი სირცხვილინა იყო.

თამარ შავაძე 82 წლის

შენ ხომ ხარ ნამყოფი აჭარულ ქორწილში? სადილის რო შემეიტანენ ხომ გინახამს? კობტად გალამაზებული ხუთი დიდი კალათაი შუა ქორწილის დროს, ხუთი ბიჭი შემეიტანს მხარზე გედეკიდებულს. ამ კალათებით საქორწინო სუფრებს მეივლიან და მეფე-დედოფალის მაგიდასა წინ დუუდებენ. მაი სადილ ტკბილეულისგან შედგება ბაქლავაი და შაქარლამაი დევს შიგან, დედოფალისათვის გოგოსთვის ოჯახის წევრებს მიაქვთ. ძველი თქმით სადილის მიტანის წესი აჭარაში მუსლიმანობის მერე შემოვდა. ეხლაი კიდე მნიშვნელობა აღარ აქ ქრისტიანი იხდის თუ მუსლიმი ქორწილს – სადილი ყველაის მიაქ.

გულო ცეცხლაძე 58 წლის

სადილში არის ბაქლავა და შაქარლამა. ეთ ცალ სადილის კალათში 300 ნაჭერი ბაქლავა და 80 შაქარლამაი დევს. ახლა დემატა შიკოლადები და შამპანური ან ლიქიორი. ამ კალათებიდანა ეთი სხვაფერი უნა იყოს ნეფე-დედოფლისა, იქანე დევს ერთი მსხლის და ერთი ვაშლის ფორმის შაქარლამა და შიგნით ჩევდებთ ხომე ფულს ან კიდო ოქროს, რავარც იტყვიან ვისაც აგი შეხვდება ეგი უფრო ბედნიერი არისო, დანარჩენი ოთხი – ერთნაირი. ამ დანარჩენს იქვე დურიგებენ სტუმრებს. თუ ოჯახი გაჭირვებულია უფრო ცოტაი მიაქ, და თუ ფულიანია მაშინ უფრო ბევრი მიაქთ ხომე. როცა გოგო თხოვდება, აუცილებელია, რომ ოჯახმა სადილ გუუკეთოს ერთი მაინც. ადრე სადილი ქორწილამდე, ცალკე მიქონდათ. გოგოს ნათესავები მიზდიოდნენ ახალდაოჯახებულის სახში და მიქონდათ ბაქლავითა და შაქარლამით სავსე კალათები. ამის ცალკე ნათესავები გოგოს აჩუქებდნენ ფარაის ან ოქროისი. დღეს ეს ტრადიცია თლა შეიცვალა და სადილი მარტო ქორწილებშიდა მიაქვთ.ეი წესია მასეთი თორე იგერ მე სულ ბიჭები მყვანან და როცა გოგოს მეყვანთ კი არაფერია ეგი სადილი მაგრამ წესები ხო უნდა დევიცვათ, სადილს მუტან მაი რაის ვიზამ.

გულვარდი ბოლქვაძე 49 წლის

ადრიან ბაქლავისი მაგიერ ყათმერი მიჰქონდათ. ყათმერი ფქილით, თაფლითა და ნიგოზით კეთდება. ცომს მაწვნით მუზილდნენ, ცოტაი რომ ეფუცდება, ზევიდან ნიგოზს დეეყრიან და თაფლს წუუსვამენ. შემდეგ გამდნარ კარაქს დეესხამენ და სამკუთხედათ დეკეცვენ. გამზადებულს კვერცხის გულს წუუსვამენ და აცხობენ. გამომცხვარს კი ისევ კარაქს წუუსვამენ. ამ ტკბილეულს ყათმერ პურს უძახიან.

ლუთბია მახარაძე 68 წლის

ამ სადილის მიტანაზედა ასე იტყვიან: თურმე ერთხელ ფეილამბერი (უფლის მოციქული) სახლს აკეთებდა, მას სამი ხელოსანი ჰყავდა დექირავებული. ხოდა ამ ხელოსნებმა სახლ რუმ უშენეს, სამაგიეროდ გოგოი მოსთხოვეს ცოლათ. ფეილამბერს ერთი გოგოი ჰყავდა, რომელისთვის უნდა მეეცა, არ იცოდა. ხოდა ერთ ღამესაც თავის გოგოს ოდაში ძაღლი და ვირი შუგდია. დილას კი სამი ქალღმერთის მსგავსი ულამაზესი გოგოი დუხვდა. აი რა... ეს გოგოები მიათხოვა ამ ხელოსნებსა. ფეილამბერმან ერთ დღეს ცოლს ტკბილეული გეკეთებინა თავის გოგოისთვის და წვევდა ამ გოგონების ოჯახში. უნდა გეერკვია რომელ სახში იყო მისი გოგოი. მევდა პირველთან და ჰკითხა: რაფერაა თქვენი გოგოი, რას საქმობსო? უთხრეს: კარგია, მარა ვირივით ჯუტიაო. მიხდა, ვირის სოისი (ჯიშის) არისო. მერე წვევდა მეორესთან, იმასაც ჰკითხა. იმიან უთხრა: ძალიან კაია, მარა ერთი ცუდი საქციელი აქვსო – ცუდ სიტყვებს ამბობსო, ძაღლივით არისო. მიხდა ფეილამბერი: ის ძაღლის სოის(ჭიში) არისო. წვედა მესამესთან და იკითხა, რაფერიაო?? – ძალიან კარგია, ადამიან გავსო, მიხდა, რომ ის მისი გოგოი იყო. გუუხარდა ფეილამბერს, ადგა და იმ სახში დეტოვა პურები და ტკბილეული. ასე დაწესდა სადილის მიტანა დედოფალთან.

გულო ცეცხლაძე 58 წლის.

## ბაქლავა

თევდან ნიგოზი გავათეთროთ მშრალ ტაფაზე სულნა ვურიოთ 3–4 წუთი, შემდეგ ხელით მოვშნიტოთ ყავისფერი კანი, დავაქუცმაცოთ ან გავატაროთ და ევრიოთ შაქარში. ამის მერე ვზელთ ცომს, სამ ჭიქა თბილ წყალს დევმატოთ გამდნარი კარაქი, 1 ცალი კვერცხი, შაქარი, მარილი, ფქილი და ვზილოთ კაი ხანს. როდესაც ცომს გავყოფთ ნასვრეტები უნდა დეეტყოს და აი მაშინ არის ცომი ცომი მზათ. გრძლა გევბრტყელოთ და კვერცხისოდენებად დევჭრათ, ერთი ორმოცი ნაჭერი მაინც უნა გემევდეს, აქიდან ერთი დანარჩენებზე დიდნა იყოს. ცომის ნაჭრებინა გავაბრტყელოთ ძალიან, ძალიან თხელად. თუნუქის ფორმაზე წევსვათ გამდნარი კარაქი და დევფინოთ პირველი ფენა, შემდეგ ისევ წევსვათ კარაქი და შემდეგ ისევ მესამე ფენა დევდვათ ასე გავაკეთოთ მეთემდე, მერემ დაეყვაროთ ნიგოზი და შაქარი დე შემდეგ ისევ იგივე გევმეოროთ, ყოველ მეთეს დევმატოთ ნიგოზი და შაქარი. ბოლო ფენას

გედვაფართოთ ცომის დიდი ფენა, გუდუფუკეცოთ გვერდები, წევსვათ ცხიმი, დევჭრათ რაფერი ზომის ნაჭრებიც გვინდიან, შევადგათ ღუმელში და გემევაცხოთ. რომ გეგრილდებიან მევასხათ ზემოდან სეროფი. სულ აგია..ეჰ ახლა სულ აღარ უნდიან ესეთის გეკეთება ერთ ორ ფენაის თუ გეეკეთებენ და ეგია მაის ემახიან ბაქლაავას, მაი რაფერი ბაქლაავაა?

გულო ცეცხლაძე 58 წლის

### შაქარლამა

ევლოთ 1 კგ დაფქილი და გაცრილი ბრინჯი. ღუმატოთ დაფქილი შაქარი, კარაქი, წონები არ დემამახსოვრდა. ევთქვიფოთ კარგათ შაქართან ერთად, დევმატოთ ვანილი. ეს ყველაფერი დევზილოთ ხელით. ცოტაი დიდხანსნა ზელა. ასე არის გამონათქვამი: ხელეზშინა გემოცხვესო. შემდეგ ჩევდოთ „ტარტალექის“ ფორმაში და ცოტაი ხნით დევტიოთ გრილ ადგილასი. გედმევიტანოთ ფორმიდგან ფრთხილად და მივირთვათ.

გულვარდი ბოლქვაძე 49 წლის

### აჭარული აჩმა

-სამზარეულო გვაქ იმფეი კარგი, რუ სხვა არ მოვა ჩვენთან. ჩვენი ადათები გვაქ შვილო, მე ყოვლიფერს ვიცავ რაიც ჩემა დედა-მამამ დემტოვა.... ეხლა გასწავლი რაფერ ვაკეთებ მე აჩმაის. ევლოთ და ევთქვიფოთ 5 კვერცხი, დევმატოთ მაწონი, ვინცლაი წყლითაც ზილს მარა მაწონი ჯობს, მარილი, ფქვილი და კარგა ევზილოთ. ცომი ნდა იყოს გაწელვადი. გევყოთ 7ანდა 9 ნაჭრად, 2 ნაწილი უნდა იყოს სხვა ყველაზე დიდი. ეს არის პირველი და ბოლოი ნაწილი. დანარჩენი ნაწილები შიდა ფენებია. პირველი და ბოლოი არ ვხარშავ, ყველ გევხეხ და თან კარაქ გევდნობ და გავაჩერებ. დიდ ქვაბში ევადულებ წყალს და მემრე დევმატებ მარილს. აჩმის პირველი ფენაი, რომელიც დიდაი, გევბრტყელოთ და გევნაწილოთ ფორმაზე ისე რო ბოლოები გედმოვოდეს ერთი-სამი სანტიმეტრით. ცომს კარგა წევსვათ კარაქი. აჩმაის მეორე ფენა გევბრტყელოთ რაც შეიძლება დიდათ და თხლათ. ფრთხილად ჩევდოთ ადუღებულ წყალით სავსეი ქვაბში, ისე რო არ მიეკროს. ვხარშოთ 10-15 წამი. ნელა-ნელა ემეველოთ ცომი საწურავში, გედევავლოთ წყალი. დევცადოთ სანაიმ გეიწურება, მე ამ ფენაის ჩაი ტილოშიჩ გევწურამ ხომე და ემის მემრე დევდოთ პირველ ფენაიზე, რომელიც დევს ფორმაზე და კარგად წევსვათ ისევ კარაქი. ემის შემდეგ კარაქით წესმულ ფენაიზე დევდოთ ყველი, ყველაი კია არა, ცოტაი. ყველა ფენაი გევკეთოთ ესე, ბოლოის გარდა. თუ ცომი ცოტათი გეიხევა ეგ არაფელი, მთავარია პირველი და ბოლო ფენაი იყო მრთელი. ბოლოს წინა ფენაიზე ყველ არ ვდებთ. ბოლო ფენაიც ისე გევკეთოთ, რავარც პირველი

გეგვით. ამ ფენით დავაფაროთ აჩმას და ბოლოები ემოვდოთ პირველ ფენის ქვეშით, რუ ყველი არ გედმოვდის. ხელებით ფრთხილად დავტკეპნავთ აჩმას. წევსვათ კარაქი და შევნახოთ მაცივარში, მეორე დღეს სანამ გამოვახობ, აჩმა უნდა დევჭრათ ნაჭრებად და ჩევდგა ღუმელში. ცოტა ნდა შეწითლდეს და გედმევლოთ ისეთი გემრიელია ყველას მოსწონს ჩემი გაკეთებული აჩმა. ეხლა აბა შენც გესინჯე, მაცივარში შენახულს უფროი სხვა გემო აქ, მარამ აგიც ძაან გემრიელია.

ნადია ცეცხლაძე 62 წლის

### აჭარული სინორი

გაცხელებულ ქვაბში ჩევდოთ ერბო ანდა კარაქი და დევმატოთ დაჭყლეტილი ან წვრილად დეჭილი ნიორი. კარგად მევშუშავთ, დევმატებთ ნადულის და ცოტა წყალსაც. კარგა ავდულებ, სანამ ერთნაირ, შეკრულ მასას არ მევდებთ. მარილი გემოვნებით მოვაცრით. დევჭრით მანამ გაკეთებულ ფირფიტებს, ადრიან უდროჟო ცომს გავათხელებდით თხლათ და გემოვცხობდით სქელძირიან ტაფაზე ორთავე მხრიდანა, ახლავი კიდენ გაზარმაცდენ და იგერ მარკეტშიდანა მეიტანენ სომხურ ლავაშებსა და ე მათ აკეთებენ, აგენებს დევჭრით ლენტებად, რულეტებად გედევხვიევთ და მიჯრით დევწყობთ. ამის მერენა ნადულის მასა მოვასხათ ლანგარზენა დევწყობილ რულეტებს ისე, რუმ ძირამდენ ჩეიჟონოს და კარგა დეიფაროს. შევადგათ გაცხელებულ ღუმელში და 3-4 წუთას დევცდით. რულეტებს ნაპირები ოდნავათ რუმ დებრაწება, მზად არის. აქანა ზემოდანა კიდევ შეიძლება რუმ გევკეთოთ ტკბილინა და თაფლი ნიგოზი გედვურიოთ და აგინა ვუქნათ, მაიც გემრიელია.

ზაირა მახარაძე 47 წლის

### აჭარული ხაჭაპური

ევურიოთ ფქილში საფუარი, შაქარი და მარილი და ზევიდან დევსხათ რძე, მევზილოთ ნაზი ცომი და დევაცდოთ ამოფუება. ემის შემდეგ გევებრტყელოთ მრგვალად. შემევხვიოთ ორთავე მხარიდან და წვერები შევკრათ, მევცეთ ნავის ფორმა წევსვათ თავებზე ამ ნავებს კვერცხისი გული.ყველს ნდა დევმატოთ ერთი კვერცხი და ეგი მასა გევნაწილოთ ნავის ფორმაში ყველამხრივ თანაბივ. შევადგათ გახურებულ ღუმელში. 10 წუთის შემდეგ ცოტაი რო

შეწითლდება გემოვლებთ ღუმელიდან, დანითი ხაჭაპურის გულში გევუკეთოთ ორმო და შიგან უმი კვერცხი დევსვით, შევბრუნოთ ღუმელში ხუთი წუთიც, სანამ ცილა შეიკვრება. გამომცხვარი ხაჭაპური გემოვლოთ ღუმელიდან, დევდოთ ზემოდან კარაქის ნაჭერი და მივითვით .

გულო ცეცხლაძე 58 წლის

### **ჩირბული**

ცხელ ტაფაზედ დევსხათ ზეთი, ჩევყაროთ წვრილად დეჭრილი ხახვი და დაბალ ცეცხლზედ მევხრაკოთ გოოქროსფრებამდე. შემდეგ დევმატოთ დეკეპილი ან გეხეხილი ნივორი. სანამდე ეს მასა მოიხრაკება, პამიდორს კანი გევცილოთ, წვრილად დევჭრათ და ტაფაში ჩევუმატოთ. დუუმატოთ ყორაო(კვაწარახი), დუუსხათ წყალი და დაბალ ცეცხლზე 7-8 წუთს დევტოთ. შევძავოთ მარილითი. კარგა რომ მეიხრაკება, დუუმატოთ კვერცხები. დევხუროთ თავზე და დეველოდოთ კვერცხის მომზადებას. კვერცხები კარგათ რომ მეიხარშება, გედმოვდგათ ცეცხლიდან და მევყაროთ დეჭრილი პეტრუშკა. სულ ეგია, საჭმელი მზათაა. გემრიელად მივირთვით!

გულვარდი ბოლქვაძე 49 წლის

### **ოსური ხაჭაპური, ხაბიზგინა**

ხაჭაპურს ეხლა ჩვეულებრივი პურის ცომით ვაკეთებ ხომე, თორე წინათი რძითა და შრატით ვზილავდით ცომსა, უფრო კარგი გამოდის. კართოფილსა და ახალ ყველსა ურევ ერთმანეთში, კართოფილი უნდა გაატარო მაშინკაში(ხორცსაკეპი მანქანა), ზოგი ჭყლიტავს, ეგრე არ გამოდის კარგი. ჰოდა მერე ვუმატებ სმეტანასა , ფაფუკსა ხდის. ცომი გუნდას რო ამოვიღებთ უნდა დავაცადოთ 15 წუთი მაინც, რო გაღვივდეს მერე გულში ჩავუდოთ ყველი და კართოფილი შერეული და შუაში ცოტა გავხიოთ მრგვალათა. უნდა გამოვაცხოთ თებაზე (თუჯის ტაფა), ზემოდან კიდე ერბოი წავუსვით.

ზეინაზ თვაური 54 წლის

### **ოსური ფხლიანა, ცეხერაჯნ**

ცეხერაჯნს ყველა დღეობას ვაცხოვთ, ისედაც ვაკეთებთ, მარამ დღეობასა აუცილებლად უნდა გვქონდეს. პირველათ ვჭრით წითელი და თეთრი ჯარხლის ფოთლებს წვრილათა, მოვაყრით ცოტა მარილსა და ავსრისავთ, წვენს გავაცლით და დავამატებთ წვრილათ დაჭრილ მწვანე ხახვსა, ქინძსა და კამასა, მოურემთ კარგადა და დავაყრით გახეხილ ჭყინტ ყველსა

დავამატებთ რძის თავებსა და კიდევ კარგად აურევთ. ცომს გავაბრტყელებთ და შევახვევთ როგორც ხაჭაპური, ოღონდ შუა გულს გავუხვევთ უფრო დიდათა, გამოვაცხოვოთ თებაზე და ზემოდან ბლომით ერბოს წავუსვამთ, ისეთი გემრიელია.....

ვალენი ნარიკაევი 57 წლის

### **ყველის ამოყვანა**

მოწველიელ რძე რო ჩავწურავთ ოდნავ შევათბობთ, ნეკა თითით გავშინჯოთ ოდნავ უნდა დაგიწვას, მერე ჩავასხათ ყველის დედაი... ყველის დედას ვაკეთებთ დვრიტითა, დვრიტას ჩავდებთ ბანკაში კიდევ ლობიოს ჩავუყრით ერთ მუჭას ერთ კვერცხს, ცოტა ძმარ და პატარა შაბ, დავასხავთ შრატ. ერთ კვირაში მზათ არის. რძეს ერთი არაყი ჭიქა ყოფნის, მოვურევთ და დავაცდით შედედებასა. რო შეეყენდება მერე ავჭყლიტავთ და ერთად მოვაგროვებთ, ფორმაში ამოვიღებთ და დავწურავთ. 12 საათის შემდეგ დავაყრით მარილს და მერე ჩავაგდებთ სუარში.

ეთერი კაძილოვი, 68 წლის

### **ხარუ , ხავიწი**

ამ საჭმელ უფრო სახელდახელოთი რო გვჭირდება მაშინ ვაკეთებთ ხომე, და როცა კარაქს ვადნობთ მაშინა. ერბოი და ცოტა წყალს შევურევთ ერთმანეთში და მოუკიდებთ ხომე ფქვილსა, თან დაბალ ცეცხლზე ვშუშამთ, უნდა სუ ვურიოთ სანამ ერბო არ გამოუვა, ვუყოფთ მარილ და ეგაა..მზათა არი. ე საჭმელი კოვზით არ იჭმება, პური უნდა ამოავლო და ეგრე შეჭამო.

ნელი ილურიძე-გოწოევი 66 წლის

### **ოსური პეროგი**

დროჟი გავხსნათ ნელ-თბილ წყალში, დავამატოთ ცოტა შაქარი, ცოტა მარილი და კარგა ავურიოთ, დავამატოთ კვერცხი, კვერცხი სახლისა ჯობია, მერე ფქვილი და მოვზილოთ ცომი, ბოლოს კი დავამატებთ კარაქსა ან ზეთსა, ხან ორივეს ვუშვრები ხომე კარაქსაც და ზეთსაც. დავაფაროთ ჯერ ცომისი პარკი და მერე თბილათ შევფუთნოთ. რო გაღვივდება ერთი-ორჯელ ჩავზილოთ ცხიმინი ხელებითა. მინამდე კი გატარებულ ხორც ტაფაზე მოვთუშოთ, ნელ-ნელა დავამატოთ წვრილად, დაჭრილი ან გატარებული, დანაყული ნიორი, ქინძი, რეხანი, სუნელები და მარილი, ცოტაც მოვთუშოთ და დავასხათ ცოტა წყალი ავადულოთ და გადმოვდგათ.

გაღვივებულ ცოშში შევახვიოთ ეს ხორცი შუაში გავხვრიტოთ ზემოდან მარტო და გამოვაცხოთ ფურნეში, რო გამოცხვება ზემოდან ერბო წავუსვათ.

ქალბატონი ეფემიას გვარი სრესელია და გათხოვილია სოფელ წითელუბანში.

ეფემია ქისიევი 68 წლის

### ოსური ლუდი

- ივ გოლლაგ ხორბალსა ჩავალბობთ წყალში და გავაჩერებთ ერთ დღე-ღამესა, მერე გავშალოთ პალატკაზე სქლათ, ოთხი თითის სიგანეზე და ზემოდან გადავაფაროთ თხელი ნაჭერი. დილაობით გადავხადოთ და დავნამოთ ხომე წყლითა, სანამდე ხორბალი ღოღოებს არ გამოიტანს და ერთმანეთს არ დაეხმება ფესვებითა. თბილათ თუ იქნება უფრო მალე გამოიტანს ღოღოებსა, უნდა დავნამოთ სანამ ფესვები გამწვანდება მანანდე. მერე ეს ხორბალი ხელით უნდა დავფშვნიტოთ და ისევ გოლლაგში ჩავყაროთ შევეუკრათ თავი და ცოტაი დაოხება დავაცადოთ, ამის მერე გადმოვყაროთ , მზეზე გავაშროთ, ეს ხორბალი უნდა დავფქათ. ამ დაფქილს უნდა დავასხათ 100 ლიტრა წყალი და დავადგათ საარაყის გობით ზედადგარზე, დიდი ხანი უნდა ვხარშოთ.... 6-7 საათი მაინც. თან უნდა ვურიოთ რო ძირზე არ მიიკრას. წყალი რაც აორთქლდება ის უნდა ვამატოთ თანდათანა. როცა წვენი წებოვანი და ცოტათი გატკბილდება ცეცხლი უნდა ჩავაქროთ და უნდა გავწუროთ, აი ამისთვის კი ეხლა სპეციალურ გოლლაგს ვიყენებთ, ადრე კიდე ნერგის ტოტებისაგან დაწნულზე დააფენდნენ თივაისა და დიდ ქვაბზე დადგამდნენ და მაგაზე წურამდნენ ხორბალი თივაში რჩებოდა და წვენი კიდე დაბლა ჩამოდიოდა, თან თივა სულ სხვა გემოს აძლემდა . ესე სულ სხვა გემოსი გამოდის, მართლა, მართლა. ეს წვენი მერე ხელახლა შევადგათ ცეცხლზე და დავამატოთ სვია. სწორედ სვია აძლევს გემოს და გრადუსსა. მეორეთ მოხარშვას უფრო ცოტა ხანი უნდა ცოტას რომ დაიკლებს, ჯამით ამოვიღოთ და ცოტა გაციების მერე დროჟი გავხსნათ და ისევ ქვაბში ჩავაბრუნოთ, თავზე დავაფაროთ და თბილათ შევახვიოთ. მეორე დილას სვიაი სულ თავზე წამოვა და ნელ-ნელა მოვხადოთ , წვენი კი საცერში გავწუროთ და ჩავასხათ რაშიც გვინდა, იმდენი გამოდის შტოფებში ვასხამთ. იმაში.

ვასია ბოლოთაშვილი 67 წლის

- ჰალე, ეგ ძნელი წესია, ეხლა მა ყაბულ მე გასწავლი ადვილ წესსა: ავლოთ 4 ცალი სერი პური დავჭრათ და შევალაგოთ დუხოვკაში, მერე ერთ ვედრო წყალში ჩავალბოთ და ხელით დავჭყლიტოთ და გავაჩეროთ სამი-ოთხი საათი, გადავწუროთ და დარჩენილ პურს ისევ დავასხათ წყალი და 1 საათში კიდევ გადავწუროთ, მესამეთაც ეგრე გავიმეოროთ. 20 ან 25 ლიტრა გვექნება, დაუმატოთ 1 კილო შაქარი და სვია. შევადგათ ცეცხლზე და

ავადულოთ სანამ ერთ სამ თითს არ მოიკლებს, მერე ერთი ჯამითა ამივილოთ და შიგ გავხსნათ დროჟი და ისევ შევუვრიოთ. მეორე დილით ვნახოთ თუ სვია თავზე იქნება მაშინ მზათაა თუ არა კიდე ერთი დღეც დავაცადოთ მერე გავწუროთ და ეგ არის. ოსური ლუდს აბა რა ჯობია.... არაფერი.

შვერნიკა ქისიევი 69 წლის

### ვასტრჯი, სახლთანგელოზობა

ძველ დროსა თურმე ვასტრჯი ანუ სახლის ანგელოზი და ეშმაკი ერთათა ცხოვრობდა, ერთხელაც წაიჩხუბნენ ვასტრჯიმ და ეშმაკი და ჩხუბში ვასტრჯიმ მოიგო, ჰომა ეშმაკი წავიდა. ამის მერე ადამიანი ყოველ ამ დღეს კლავს თხას, ცხვარს ან კიდე შავ მამალ ან დედალ. ეს დღე არის ახალი წელის მერე მეორე ან მესამე კვირასა. როცა დაკლავდნენ სისხლ რო გამოადენდნენ წაიღებდნენ და ღრმათ ჩაფლავდნენ რომა არ მიეგნო ძაღლებსა, თორე იწამლებოდნენ და კვდებოდნენ ხომე. ჰო, ჰო მართლა ვამბობ საწამლავი იყო ეგა. თანაც ღმერთი არ შეგიწირავდა თუ სისხლსა ძაღლები ან სხვა რამე მიაგნებდა. მერე საღამოს გაშლიდნენ სტოლსა. მარტო ვინც ამ სახში ცხოვრობდა ისისნი უნდა იყვნენ, სხვა არავინ, ყველა თავის სახლზე აკეთებდა ამას, შუადამეს გაშლილი სტოლი ქონდათ და ყველა გარეთ გამოვიდოდა ღმერთ ბუზნგს უთხრავდნენ და მერე დაჯდებიან სტოლთანა. დაილოცებიან, შეჭამენ საჭმელსა და სუფრასა ეგე დატოვებდნენ დილაამდისა.

ნიკალა თვაური 77 წლის

ჩვენ კვარხეთიდან გადმოვედით აქა, მე და ჩემი დაი, მე პაპიტაშვილებში ვარ გათხოვილი და ჩემი და ედიშერაშვილებში, ერთი დაცა გვყავს რომელიც დაბადებისას დედას უთხრეს მოკვდაო და ეხლა ვიპოვეთ, თურმე გაუშვილებიათ, ისეთი კაი გოგოა, ცისფერი თვალებითა. ძმაცა მყავს ის კვარხეთში დარჩა, იქა აქ ოჯახი. კაი ხალხი ცხოვრობს აქა, აქა კარგად მოვეწყეთ ასე თუ ისე.

ლია პაპიტაშვილი 44 წლის

შენ კი გენაცვალე რა კაი გიგი გახდი... მე დედაშენსა დიდ პატივსა ვცემ, ძან მიყვარს, სწავლობ ხო ისევა? კაია კია შვილო მა რა უნდა ქნა, ამდენი ტყვილად ხო არ იწვალე. ჩემებიცა სწავლობენ აი უმფროსი თფილიში გადავიდა და აღარც ჩამოდის ხომე, ნეტა აქ რა უნდა იქ არა ჯობია.

ნელი ილურიძე 65 წლის

მამაშენი სახშია? პატარა საქმე მაქვს და მალე მოვა? უთხარი ვაჟა იყო და მოვიდეს ჩემთანა აუცუილებლათა დაან საჩქაროა.

ვაჯა ხიდაშელი 65 წლის

ნეტა მარშუტკაი მალე მოვა? ვერ დაიხსომა რაა რო ცხრაზე უყე აქ უნდა იყოს მარამ რა ეშმაკია ეშმაკი, ტყუილა კი არ ქვია ეგრე მართლა ეშმაკი ეგა.

ვასია ბოლოთაშვილი 67 წლის

შენ ბაღში ძროხა შევიდა. მიაქციე ყურადღება თორე მთელ თქვენ მოსავალს გაძოვს. აგე ჩემი ძაღლია რო ყეფამს და ვერ აშიენებს. დროზე გაინძერი დროზე. უიმეე, შენ შენი დრო იცი რააა ფეხი სწრაფად რო გაადგა მოკვდები განა?

ვალენი ნარიკაევი 63 წლის

ე თოხი ვინ გააკეთა? მამაშენმა? ცოდნია კაცსა რა გინდა კიდე ბევრ რამეს გააკეთებს რახან ერთი გააკეთა აღარ გაჩერდება.

თენგიზ კაძილოვი 55 წლის

იცი რა ინდა გკითხო? ი მასწავლებელი კარქა ასწავლის? ბავში მინდა მიუყვანო და აბა რავი სანდოა?

ძერასა მარადოვა 58 წლის

ე თოჯინა მოგიტანე. შენ რო მოგწონს ისეთია, თან ტირის, თან მღერის.

სპირიდონ ქისიშვილი 59 წლის

მე ვარ სალიმ ისკანდაროვი, ქართული გვარი არის ყურამე, რომელიც წაგვართვეს საბჭოთა კავშირმა, ჩემი ეროვნებაც წაგვართვეს და პასპორტში წერია აზარბაიჯანელი. ერთ ძმას ქურთი, ერთ ძმას თათარი, მამაჩემი არის თურქი პასპორტში წერია , დედაჩემს წერია აზარბაიჯანელი. მამაჩემის მშობლიური მიწა არის აბასთუმანი, დედაჩემის ზანავი, ადიგენის რაიონია

მე მიხარია რომ სამშობლოში დაბრუნება მოხდა ჩვენი. აქ ხალხი კარგად შეხვდა ჩვენ მოსვლას, თბილი ხალხია, უფრო სხვანაირად მეგონა ხოლმე , მეგონა რო არ მიგვიღებდნენ, მეგონა არ შემოვიდოდნენ ჩვენთან კავშირში,მარამ არა პირიქით მოხდა. აქ ოსი მეზობლებიც მყავს და

აჭარელიც ვუყურებ რა კარგი ურთიერთობავ აქვთ ერთმანეთში, ჩვენთანაც არ აქვთ პრობლემა კარგი მეზობლები არიან. ერთი რაც არ მომწონს თურქ-მესხებს გვეძახიან, რატო გვეძახიან არ ვიცი ჩვენც ხომ ქართველები ვართ მათსავით.

ჩვენგან არა, მაგრამ ჩვენ მაგათგან ბევრი ვისწავლეთ, ყველანაირად, ყველაზე კარგი კი რაც ვისწავლეთ ქართულად ლაპარაკია.

სალიმ ისკანდაროვი 45 წლის

მე აქ დაბადებული ვარ და აქა ვბერდები. გავთხოვდი კიტრიულში, ლენინგორის რაიონში, იქ ერთი პატარა სახლი მქონდა, არც სკოლა არ იყო. ბავშვების გულისთვის წამოვედი, ღმერთის წყალობით მშობლები მყავდა აქა და მაგათთან მოვედი. მე ნახევრად ქართველი ვარ აბა რა ვარ. ჩემი სიძეები ქართველებია, ჩემი შვილები მართალია სიუკაევეები არიან მაგრამ ნასყიდაშვილად იწერებიან.

მე ყოველთვის ვიცავდი ჩემი მშობლებისგან ნასწავლ ტრადიციებს. ჩემ ოჯახში ყოველთვის ვაკეთებთ ვასტრჯის( სახლის ანგელოზს მიაგებენ პატივს) სუფრას, ამ დროს აუცილებლად ვაცხობთ ხაჭაპურს და ვკლავთ მამალს. ძუარბონს (დღეობას) კი ყოველთვის ძუარში(სალოცავში) მივდივართ შეძლებისდაგვარი ძღვენით. ადრე იქ მთელი სოფელი ერთად შევიკრიბებოდით, ეხლა კიდე ძუარი საზღვარზეა და ვერიდებით ხომე იქ მისვლას. ნეტა გვეღირსება კიდე რო ისე გავაკეთოთ ძუარბონი (დღეობა), როგორც ადრე?

ლამარა სიუკავი 67 წლის